პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ სამშაბათი 12 სექტემბერი 1978 წ. ☐ № 214 (17258) ☐ ფასი 2 კაპ.

„სალუტ-6" — „სოიუზ-31":

აკვირდებიან დედამიწას

ფრენის მართვის ცენტრი, 11 სექტემბერი. (საკუთარი). 87 დღეა კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი მუშაობენ „სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსში.

დღეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შესწავლის მიზნით ეკიპაჟი აწყობს დედამიწის ზედაპირისა და ქსოფლიო ოკეანის აკვატორიის ცალკეული რაიონების ვიზუალურ დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას.

დღის განმავლობაში კოსმონავტები აგრეთვე კონტროლს უწევენ ბიოლოგიურობიექტებიანი აპარატურის მუშაობას და ახდენენ კოსმოსური ფრენის პირობებში მცენარეთა ზრდა-განვითარების რეგისტრაციას.

ეკიპაჟის „ოსნეტებებისა" და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად „სალუტ-6"-„სოიუზ-31" ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 338 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 333 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,3 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი თავს კარგად გრძნობენ.

რესპუბლიკური აკადემიები

სოციალიზმმა უდიდესი შესაძლებლობანი შექმნა მეცნიერების განვითარებისათვის, ხალხის სამსახურში ჩაყენება იგი. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მეცნიერების მძლავრი აღმავლობა რაიონებში, რომლებიც ოდესღაც ჩამორჩენილობის, სიბნელისა და უუფლებობის სიმბოლოები იყო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, რომელმაც გაიერთიანა ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მეცადინეობა, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ამ სფეროზეც. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აქტიური დახმარებით მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნა აკადემიები. ჩამოყალიბდა კვლევითის ორგანიზაციათა ბაზრი ქსელი. სახელმწიფოს მიერ ფუნდამენტური სამეცნიერო თემატიკისათვის გამოყოფილი მთელი სახსრების დაახლოებით ნახევარს რესპუბლიკების აკადემიები იღებენ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „დღეს ხაუბარი საბჭოთა მეცნიერების მიღწევების შესახებ უკვე შეუძლებელია ჩვენი საბჭოთა მეცნიერების სახელოვანი ეროვნული რაზმების უთვალსაჩინოესი აღმოჩენების გაუთვალისწინებლად". შედეგების დარგში უკრაინის მეცნიერთა, სომხეთის ასტროფიზიკოსთა, საქართველოს მექანიკოსთა, ბელორუსიის თბოგადაცემისა და მასა გადაცემის სპეციალისტთა, უდაბნოების შესწავლაში თურქმენ, ახალი ჭიშის ბამბის გამოყვანაში უზბეკ, ნავთობის ზღვის ნაბადოთა ათვისებაში აზერბაიჯანელ მეცნიერთა მიღწევები, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების სამეცნიერო სკოლების წარმატებანი. ფართოდ არის ცნობილი. რეპუბლიკური დაწესებულებანი ხშირად ჯისრულობენ საკავშირო დანიშნულების მეწინავე მკვლევართა მოგალეობებს.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება უპირველეს ამოცანად არის დასახული. საბჭოთა მეცნიერების ეროვნული რაზმები ბევრს იღვწიან მისი შესრულებისათვის. თითოეული მათგანის ფლაგმანებია მეცნიერებათა აკადემიები. აკადემიები უპირველეს ყურადღებას უთმობენ ფუნდამენტურ გამოკვლევებს. რაციონალურად უხამბენ მათ გამოყენებითს კვლევას, წარმართავენ უმაღლესი სასწავლებლებისა და დარგობრივი ინსტიტუტების მეცადინეობას და ხელს უწყობენ სახელმწიფო მასშტაბის პრობლემების გადაწყვეტასაც, რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასაც.

მეცნიერული მუშაობის თანამედროვე კურსია მისი ეფექტიანობის ამაღლება, წარმოებასთან კავშირის განმტკიცება, ნიახლეთა დაჩქარებული დანერგვა. ყველაზე მეტ წარმატებას იქ აღწევენ. სადაც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დუბლირების კი არ ეწევიან, არამედ მთელ ყურადღებას უთმობენ პრობლემებს. რომელთა შესწავლაში ადგილობრივ მეცნიერებს უკავიათ ან შეუძლიათ დაიკავონ წამყვანი მდგომარეობა. აყენებენ ორიგინალურ იდეებს. ყოველად დაუსაბუთებელ მისწრაფებას — გასწვდნენ გამოცდილებათა ყველა მთავარ მიმართულებას, მოსდევს მხოლოდ ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა.

უშუალო საწარმოო ძალად მეცნიერების გადაქცევა აფარფოფებს მეცნიერთა საზრუნავის არეს. მოითხოვს მათგან განამტკიცონ კავშირი პრაქტიკასთან. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიას. მისი ინსტიტუტები, რომლებიც ფართოდ იყენებენ ფუნდამენტური ძიების ნაყოფს, დახმარებას უწევენ მრეწველობასა და ხოფლის მეურნეობას, შეიმუშავეს ბევრი მოწინავე ტექნოლოგიური პროცესი, პროგრესული მოწყობილობა. მთელი ციკლის მიხედვით — იდეიდან მის ხორცშესხმამდე — გამჭოლი დაგეგმვის მეთხეით უკრაინელი მეცნიერები ამცირებენ კვლევის შედეგების ათვისების ვადებს. მარტო მეათე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე ეკონომიამ ახლად დანერგილი სამუშაოების მიხედვით აქ 460 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ გამოცდილებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაღალი შეფასება დაიმსახურა და პარტიული ორგანიზაციები უფრო აქტიურად უნდა იღვწოდნენ მეხი გავრცელებისათვის.

უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად გაფართოვდა, უფრო მრავალმხრივი გახდა ორგანიზაციულ ხაუალებათა არსენალი, რომლებიც ხელს უწყობს აკადემიური მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებას. კარგი ნაყოფი გამოაქვს სამინისტროებისა და აკადემიების, აგრეთვე მათი სამეცნიერო დაწესებულებებისა და დარგობრივი ინსტიტუტების, საწარმოო კოლექტივების ერთობლივ მუშაობას კვლევისა და დანერგვის კომპლექსური გეგმების მიხედვით. იზრდება დარგობრივი საპრობლემო ლაბორატორიების ქსელი, რომლებსაც აკადემიები ქმნიან სამინისტროებთან ერთად. როგორც ბელორუსიის, ლატვიის, ესტონეთისა და სხვა აკადემიების მაგალითი მოწმობს, დანიშნულება გაამართლა კვლევის ორგანიზაციის პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდებზე გადასვლამ, საინსტიტუტთაშორისო ექსპერიმენტული ბაზების, ხელსაწყოების გასაჭირავებელი პუნქტების შექმნამ. ამ არსენალის ათვისება და გამოყენება, მისი გაფდიდება შეესაბამება მეცნიერებისადმი პარტიის მოთხოვნას, რომ დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადაწყვეტა, მთელ ძალებსა და რესურსებს თავი მოუყარონ მეცნიერული ძიების ყველაზე აქტუალურ მიმართულებებზე, ბეჭითად აამაღლონ კვლევის ხარისხი, გაზარდონ მისი უკუგება.

მაგრამ ხაქმე ყველგან ახე როდია დაყენებული, ხშირია სხვადასხვა უწყების სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ თემატიკის დუბლირების შემთხვევები. ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყველა ინსტიტუტი არ არის ზუსტად პროფილირებული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების შემადგენლობაში ჯერ კიდევ ბევრი პატარა და სუსტი სამეცნიერო დაწესებულებაა. დიდია აღწერილობითი თხზულებების რაოდენობა, რომლებიც ვერ ამდიდრებს ვერც ცოდნის საგანძურს, ვერც პრაქტიკას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისია იძულებული გახდა უარეყო აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და სხვა აკადემიების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოების შუამდგომლობანი დაუმუშავებელ დისერტაციათა ავტორებისათვის სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში არ შეიძლება იყოს „მეორეხარისხოვანი" მეცნიერება ცენტრშიც და ადგილებშიც კვლევა უნდა წარმოდგეს უმაღლეს დონეზე. ამავე დროს ყველგან როდია შექმნილი ხაამხანო პირობები. მაგალითად, თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის (ალკიური ინსტიტუტები ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუფერებელ შენობებში მუშაობენ, ახალთა მშენებლობის ხახსრებს კი ვერ ითვისებენ. გაუმჯობესებას საჭიროებს სამეცნიერო დაწესებულებათა ნაწილის ექსპერიმენტული ბაზა. ამის შედეგად წარმოების მუშაკები სამართლიანად აკრიტიკებენ მეცნიერებს. რადგან მათგან იღებენ ზერელე, ცუდად დასაბუთებულ ნამუშევრებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ აკადემიის ქვეგანაყოფების თანამშრომლები თავს იჩენდნენ არა მარტო ნოვატორებად ძიების სტადიაზე, არამედ აქტიურ მებრძოლებადაც თავიანთი გამოგონებების, აღმოჩენების პრაქტიკული გამოყენებისათვის. ასეთი თვისებების გამომუშავებას ბევრად უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრება. ახრულებენ რა ვალდებულებებს, აჯაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების კოლექტივებმა დაიწყეს კვლევის კომპლექსური პროგრამების რეალიზაცია მთელი რიგი სამინისტროების წარმოების მუშაკებთან ერთად, ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები ხორცს ასხამენ ათობით ხელშეკრულებას საწარმოებთან თანამეგობრობის შესახებ. პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა უზრუნველყონ, რომ ეს მუშაობა ყველგან იყოს შემოქმედების, გერგილიანობისა და მოქალაქეობრივობის ხკოლა.

რესპუბლიკურ აკადემიათა წინაშე ფართო პორიზონტები, პასუხსაგები ამოცანებია დასახული. საბჭოთა მეცნიერები კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში არიან, ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, მშრომელთა მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, კომუნისტური იდეალების დამკვიდრებას.

PRAVDA 11 სექტემბერი

დამკვრელური შრომის დღე

10 სექტემბერს რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში კვირაობა გაიმართა. ათასობით მშრომელი, რომლებიც ემზადებიან სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის კრაველი წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, კვირაობის დროს დიდი კეთილსინდისიერებით ზოგი შრომობდა თავის სამუშაო ადგილზე, ზოგი საშეფო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. მოსავლის აღებასა და ნაკვეთების დამზადებაზე, ზოგიც ტერიტორიის კეთილმოწყობაზე.

კვირაობამ ცხადყო მშრომელთა დარაზმულობა ლენინური პარტიის გარშემო, მათი მზადყოფნა სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისა და დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავს შეხვდნენ ახალი წარმატებებით კარტის XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის კლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაღალი ენთუზიაზმით

თბილისის ყველაზე ახალგაზრდა რაიონის — საქარხნო რაიონის მშრომელებმა კვირაობაზე მაღალი ენთუზიაზმით იმუშავეს. განსაკუთრებით „ერგილ" იყო ორგანიზებული შრომის დღესასწაული დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში. ავიკის გაერთიანებაში „ანთონოვში", ელექტროენერგეტიკის საწარმოო გაერთიანებაში, ხისდამშუშავებელ კომბინატში. ამ საწარმოების კოლექტივებმა დაამზადეს ათიათასობით მანეთის პროდუქცია, შეაკეთეს მოწყობილობა, გაამშვენიერეს თავიანთი საწარმოების ტერიტორიები.

გაერთიანება „სიხარულის" მუშაკები ავიამშენებლებთან ერთად ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს მოსავლის აღებაში დაეხმარნენ.

კვირაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სკოლების. პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, რაიკომსამკობის სამსახურების მუშაკები.

მოწინავეთა რიგებში

კვირაობის დღეს კარგად იმუშავეს თბილისის ჩარხსაშენებელი, გაერთიანების მეთაური საწარმოს — კირჩეის სახელობის ქარხნის მშრომელებმა ბევრი სასარგებლო სამუშაოები მოეწყო ყველი ოტაწზე, როგორც ყოველთვის თავი გამოიჩინა № 9 მექანიკური საამქროს კოლექტივმა, რომელსაც მეთაურობს წარმოების ერთ-ერთი გამოცდილი ხელმძღვანელი ჯუმბერ თოფურია. საამქროში ამზადებდნენ სერიული სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების დეტალებს.

№ 7 სარემონტო საამქროში, რომლის კოლექტივსაც დიმიტრი კოდალაური ხელმძღვანელობს, ასრულებდნენ პასუხსაგებ შეკვეთას — ამზადებდნენ პნევმოტრანსპორტის მოწყობილობას. მათ შორის, ვინც თავი გამოიჩინეს კვირაობაში, არის აგრეთვე ხარატი ანზორ ციხელაშვილის მეთაურობით, რომელიც „მუშაობს სპეციალური ჩარხების რთულ დეტალებს.

მეურნეობების მინდვრებში

ბათუმი. 11 სექტემბერი. დიდი ალმაფრენით შრომობდნენ ბათუმელი. მანჭანათმშენებლები ქობულეთის რაიონის სოფელ ხეცუბანში აჭარის უდიდესი მებოსტნეობის სათბობი მეურნეობის მშენებლობაზე. ქარხნის მთავარი ინჟინრის კ. ჩიქვანეთის მეთაურობით ასზე მეტი კაცი მონაწილეობდა მშენებლობაში მიღებული ტექნოლოგიური მოწყობილობის სხვადასხვა დეტალების დაკომპლექტებაში, მეურნეობის ტერიტორიის კეთილმოწყობაში.

ქარხნის მუშაკთა მეორე ნაწილი საწარმოს დირექტორის ხ. ბოგავას ხელმძღვანელობით მუშაობდა სათბე სავარგულებში. ისინი ამზადებდნენ საკვებს ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმისათვის.

კვირაობა ჟუთაისში

ჟუთაისი. 11 სექტემბერი. ჟუთაისის მშრომელებმა გასული კვირას „დიდი კვირაობა" უწოდეს. მასში მონაწილეობდნენ ჟუთაისის საწარმოების მშრომელთა კოლექტივები, სტუდენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

საავტომობილო, ელექტრომექანიკური სატრაქტორო, მინის ტარის, ლითოფონის, რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნის და სხვა საწარმოების მუშები და მოსამსახურეები აწესრიგებდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს, ამშვენებდნენ საამქროებსა და საწარმოს ტერიტორიას.

კვირაობა შრომის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ლენინისა და ოქტომბრისწინო რაიონების მშრომელებმა, სტუდენტებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ თავი მოიყარეს ცენტრალურ ბაღსა და წულუკიძის სახელობის სკვერში, სადაც ისინი ამშვენიერებდნენ ტერიტორიას.

მეტალურგების რეკორდი

რუსთავი. 11 სექტემბერი. ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავში დამკვრელური შრომის დღეც იქცა კვირაობა. თავდადებული შრომის სოციალისტური მაგალითს აძლევდა მეტალურგიული ქარხნის მარტენის ბრიგადა, რომელსაც წარჩინებული მეფოლადე ომარ წითლიძე მეთაურობს. მისი ინიციატივით აქ გაშლილია შეჯიბრება. დევიზი „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!" ამკრავადაც, ჩინებულად იმუშავა მეფოლადეთა კოლექტივმა, რომელიც 1977 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საუკეთესო ბრიგადად აღიარეს ქვეყნის მეფოლადეთა შორის. ბრიგადის წევრებმა გრაფიკზე რვა საათით ადრე გამოუშვეს სრულწონიანი ნაგნობი.

მაღალი შრომითი განწყობილება იყო ქალაქის სხვა საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებშიც.

კვირას რუსთავის მრეწველობამ გეგმის გადაჭარბებით ისი ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია დაამზადა.

ბოსტნეული — თბილისს

ბასულ კვირას დიდი ღელვრთოვანებით შრომობდნენ გარდაბნის რაიონის მშრომელები.

ერთი დღის მანძილზე მოკრიფეს და რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს გაუგზავნეს 227 ტონა პამიდორი, 32 ტონა ბოლოჭინი, 12 ტონა მწვანილი, 200 ტონა სანამორო, 5 ტონა ხილი. (საინფორმაციო).

ფინეთს მიუახლოვდნენ ენგურჰესის მშენებლები, თაღოვანი კაშხალის მშენებლები დღითიდღე ზრდიან ბეტონის ჩასხმის ტემპს.

ამიერკავკასიის ამ უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის 260 ათასი კუბოვატი სიმძლავრის პირველი აგრეგატი უკვე დამონტაჟებულია და „სპეციალიზრონენერგომონტაჟის" ტრესტის ჰიდროძალური სამონტაჟო უბნის კოლექტივი უკვე ასევთვე სიმძლავრის მეორე აგრეგატის აწყობაზე მუშაობს.

სურათზე: ახალგაზრდა ჰიდრომშენებელი გურამ გახარია სულ სამი წელია მშენებლობაზე მუშაობს. ამჟამად იგი სამუშაოთა მწარმოებელია თაღოვანი კაშხალის მარჯვენა სანაპიროს უბნის სამონტაჟო სამუშაოებზე.

ი. ბოხონელიძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

512.000 ტონა ყურძნისათვის!

მარნეულელთა ზვრებიდან

— 16 ათასი ტონა

რთველის გაჩაღებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ალგეთელი და შაუმიანელი მევენახეები მხოლოდ სუფრის საადრეო ჯიშის ყურძნის კრეფას შეუდგნენ და ასობით ტონა უკვე მიიღო თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების სავაჭრო ქსელმა.

წლევანდელი რთველი დაბადებულია მარნეულის რაიონისათვის და განსაკუთრებით შაუმიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისათვის, რომლის უხვად მსხმოიარე ასობით ჰექტარი ზვრები ამას წინათ სეტყვამ ძლიერ დაზიანა.

მარნეულელები წლეულს ნახელმწიფო მარანში 16.000 ტონა ყურძენს მიიტანენ, 12.500 ტონას — ნაზოგადოებრივი მეურნეობებიდან, 3.500 ტონას — ნაკარმიდამო ნაკვეთებიდან. ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს მიჰყიდის 3.000 ტონა ყურძენს, ყულარისა — 2.500 ტონას, ხოლო ხრამისა 1.500 ტონას.

ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის ყულარის, თამარისის და ალგეთის ღვინის ქარხნებში განახლდა ტექნოლოგიური ხაზები, კაპიტალურად შეკეთდა თამარისის ღვინის ქარხანა. წესრიგშია შაქრიანობის ავტომატურად განმსაზღვრელი დანადგარები. ყურძნის მოსავლის შეუფერხებელი გადაზიდვისათვის მობილიზებულია რაიონის 150 სატვირთო ავტომანქანა.

რთველის ყველაზე პასუხსაგებ უბნებზე შექმნილია პარტიული და პარტიულ-კომკავშირული ჯგუფები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონვეიერის — „ვენახი ქარხანა" — რიტმული მუშაობას.

კომუნისტები, სახალხო დეპუტატები სათანადო ორგანიზატორული მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ მოსახლეობამ ბაღარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული მოსავალი ორგანიზებულად მიაყოდოს სახელმწიფოს.

რ. მემარნიშვილი,
საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი.

ეროვნული მიდგომით

„სალუტ-6" — „სოიუზ-31":

აკვირდებიან დედამიწას

ფრენის მართვის ცენტრი, 11 სექტემბერი. (საკუთარი). 87 დღეა კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი მუშაობენ „სალუტ-6"-„სოიუზ" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსში.

დღეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს შესწავლის მიზნით ეკიპაჟი აწყობს დედამიწის ზედაპირისა და ქსოფლიო ოკეანის აკვატორიის ცალკეული რაიონების ვიზუალურ დაკვირვებასა და ფოტოგრაფირებას.

დღის განმავლობაში კოსმონავტები აგრეთვე კონტროლს უწევენ ბიოლოგიურობიექტებიანი აპარატურის მუშაობას და ახდენენ კოსმოსური ფრენის პირობებში მცენარეთა ზრდა-განვითარების რეგისტრაციას.

ეკიპაჟის „ოსნეტებებისა" და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად „სალუტ-6"-„სოიუზ-31" ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 338 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 333 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,3 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

კოსმონავტები ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი თავს კარგად გრძნობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან

ყურადღება არ მოვაკლოთ საბინაო მშენებლობას

შეაჯამა რა მიმდინარე ხუთწლედის პირველი ნახევრის შედეგები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ის საგრძნობი დადებითი ძვრები, რომლებიც კაპიტალურ მშენებლობაში, კერძოდ, სამრეწველო მშენებლობაში მოხდა. ამასთანავე აღინიშნა ნაკლოვანებებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში. ეს უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მთლიანად ვერ ითვისებენ სახსრებს, არათანაბომიერად წარმოებს ბინების ხაექსპლოატაციოდ გადაცემა. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მშენებლებს დაუსახა ამოცანა მაქსიმალურად ითვისონ სამინაო მშენებლობის კაპიტალური დაბანდებანი და მთელი წლის განმავლობაში რიტმულად გადასცენ ხაექსპლოატაციოდ ობიექტები.

ოქტომბერში რესპუბლიკის მშენებლებმა რამდენადმე გამოასწორეს სამინაო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების ჩამორჩენა, რომელიც წლის თვეებში შეიქმნა. მაგრამ აგვისტოში მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. რვა თვეში ათვისებულია მთელი წლისათვის ასიგნებული სახსრების მხოლოდ 56 პროცენტი, თუმცა ზრდის ტემპმა შარშანდელთან შედარებით 104 პროცენტი შეადგინა.

უკეთ არც ბინების ხაექსპლოატაციოდ გადაცემის მხრივ არის საქმე: რვა თვეში წლიური პროგრამა მხოლოდ 41 პროცენტითაა შესრულებული.

ეს მონაცემები დასასელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილემ ო. ზუბანიამ სამინაო მშენებლობის მიმდინარეობის საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე, რომელიც ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. თათბირზე გამოსულმა რესპუბლიკის სამმენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, პარტიის მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეებმა ალაპარაკეს ადგილებზე სამუშაოთა მიმდინარეობის, წამოჭრილი სიძნელეების შესახებ, თქვეს, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება 9 თვისა და მთელი წლის გეგმის უთუოდ შესრულებისათვის.

ალინიშნა, რომ წლიური პროგრამის, რეალიზაციისათვის წლის ბოლომდე დარჩენილი ოთხი თვიდან თითოეულში უნდა ითვისონ 20-20 მილიონი მანეთი. ეს ერთობ ძნელი ამოცანაა: წელს საშუალოდ თვეში ხომ 13 მილიონამდე მანეთს ითვისებდნენ. არანაკლებ რთულია ხაქმიანობა ბინების ხაექსპლოატაციოდ გადაცემაში დაშვებული ჩამორჩენის გამოსწორება, მაგრამ თუ მშენებლები სრულად გამოიყენებენ ძალებსა და საშუალებებს, ეს პრობლემები ადვილად გადაიჭრება. ამასთანავე აქ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ადგილობრივ პარტიული და საბჭოთა ორგანოებზე.

საგულისხმოა ხაქმის მდგომარეობა გაერთიანება „თბილისაქალაქმშენში", რომელიც საქართველოს საკბორეველი ბინების 40 პროცენტზე მეტს აშენებს. საშუალო-რისუბანოებიანთან შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებელი აქ მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი დახმარებასა და ყურადღებას არ აკლებენ საბინაო მშენებლობის საკითხებს. თბილისელმა მშენებლებმა გადაწყვეტეს კიდევ 20 ობიექტი გადაიყვანონ ორ ცვლად მუშაობაზე, და ახლა საქიროა, რომ ორ ცვლად იმუშაონ სამშენებლო ორგანიზაციებს თბილისის, გორისა და მთელი რიგი სხვა ქალაქების პარტიული და სხვა საბჭოთა ორგანოები. მაგრამ, საწყინარიოდ, ყველგან ასი რიდია საქმე. მოლიანად ყიფრების პრობლემა ხახლოდ ბაშინ გადაჭრება, როდესაც მათ მომზადებას ოთხი ტისტემური ხასიათი ექნება.

საოუძველიანი პრეტენზიები გამოთქვეა თათბირზე იმ შენაგეთთა მიმართ, რომლებიც ფენარ დიდი ხმით უკვანებენ მშენებლებს ტექნიკური დოკუმენტაციის მიწოდებას, დროზე არ უცლიან მოკუნებს სამშენებლო ობიექტებისათვის და ა. შ. ეს მეტად ეკონომიურ გავლენ ხახდენს მშენებლობის მიმდინარეობაზე, მის ხაბოლოო შედეგებზე.

თათბირზე გამართული ანალიზი გაზიარება. ჩამორჩენის დაძლევის ძირითადი, ყველაზე ეფექტიანი გზების განაზოგადა ამის ამბავს გვაძლევს, რომ რესპუბლიკის სამინაო მშენებლობაში ოპერატიული მომავალშიგი გამოკვლევა საჭმე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა.

(საინფორმო).

ახალი მიჯნები

ახლა ჭაორკეცებული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ არა მარტო იმიტომ, რომ წარმატება შევინარჩუნოთ, არამედ გავაღრმაოთ და კიდევ უფრო გავზარდოთ

□

ამბავს წინანდ მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწყობილი „ქუთაისის დღე“ იმ წარმატებათა ერთგვარი დაფიქსირება გახლდათ, რომელსაც ქუთაისის მშრომელებმა ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის განვლილ ორ ნახევარ-წელიწადში მიაღწიეს.

მოსკოველმა დღემ დიდი ალმაცლობით ჩაიარა. დაუთვლელი შეხვედრები მოსკოველებთან, გამოფენის დიდ საკონფერენციო დარბაზში სემინარის მაღალი დონე, ქუთაისელების ნახელავის საჯარო დათვალიერება, პირნერთა და მოსწავლეთა სასახლის ბავშვთა ანსამბლ „კოკონის“ შესანიშნავი გამოსვლა... ერთი სიტყვით სანახაობანი კონლენტებივით ცვლიდა ერთმანეთს.

და სავსებით ბუნებრივია, ბლოკნოტში გაჩნდა ახალი ჩანაწერები.

ჩანაწერი პირველი: „როცა მოსკოვში მივდიგარ ხოლმე, წარმოიდგინეთ, რომ ეს არც ისე ხშირად ხდება, გული რაღაც სხვანაირად მიძგერს. მსოფლიოს პირველი სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი — ჩვენი საშობლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრი, საბჭოთა კულტურის ბაირაღტარი, მოწინავე მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ბურჯი, მშვიდობის სიმბოლოა. შემოქმედებითი შრომის საფუძველი და დასაყრდენი, ყველა ჩაგრული ხალხის იმედია. როცა მეჯყურებ ამ ძველი ქალაქის ახალ იერს, მის ფართო ქუჩებს და მოედნებს, საუცხოო ბაღებსა და პარკებს, მის ცათამბჯენებს, თავს რომ დაბაურებენ ძველ კოშკებსა და კრემლის გუმბათებს, ალაკი სიამაყით ივსება, იგრძნობ სიმაღლეს, მომავლის იმედს. საკუთარი თავის რწმენას, რომ შენ \ ლიერი ხარ, რადგან ატარებ საბჭოთის ღიალი ქვეყნის მოქალაქის სახელს, მის პასპორტს.

მოსკოველთან შეღარებით პატარაა ჩემი ქუთაისი, მაგრამ მისი ყოველი ძარღვი ფა სუნთქავი დაკავშირებულია დედაქალაქთან. თუ გინდათ დღეკანდელი ფაქტიც.. მოსკოვში „ქუთაისის დღე“ დიდი დაფასებაა, მაგრამ ამასთან ერთად მოკალთობაც. მოკალთობას რომ ვამბობ. უკეთეს მუშაობას ეგულისხმობ. ახლა ჩვენი ქარხნის საერთო პროდუქციაში ხარისხისშენიშნული პროდუქცია 70 პროცენტს შეადგენს. ეს ციფრი არ არის, მაგრამ ესაა პროცენტი როდია. სწორედ ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა გადაეხედოთ ჩვენს ძალებს და ყველაფერი ეიღონოთ უკეთესი მაჩვენებლებისათვის. ვიმუშაოთ დღეს უკეთ, ვიღრე გუშინ, და ხვალ უკეთ, ვიღრე დღეს, — დღეკანდელი ცხოვრების სწორი მოთხოვნაა და მხარი ამ მოთხოვნებს უნდა ავუბათ“.

ეს სიტყვები ეკუთვნის საგიტომობილო ქარხნის მოწინავე მუშას, მრავალგზის ორდენოსან **ილია ჭლაძეს**. იგი ბაშინ ჩაიბეჭდა, როცა გამოაცხადეს — თვითმფრინავი მალე დომოდედოვოს აეროდრომზე დაეშვებაო.

ჩანაწერი მეორე: „სიმართლე რომ გითხრათ, ზოგჯერ ჩვენ, ძმაბე მრეწველობის მუშაკები, სათანადოდ არ ვაფასებდით და ჯეროვან პატივს არ მივაგებდით მომსახურების სფეროში და კვების მრეწველობაში დასაქმებულ მუშაკებს. ზოგიერთი თაღლითი. სარეველასავით რომ ვამოიერეა ხანდახან კოლექტივში, ამინდს ვერ წაახდენს. ამას ინტერესაც ვამბობ, რომ ადრე ავტომშენებლებს. მაინცდამაინც ადვილი შეხედულება როდი გვქონდა პურის ქარხნების მუშაკებზე. შესაძლებელია მაშინ მართლაც სწორი ვიყავით, რადგან პურის — ამ ყველაზე ძვირფასი, უპირველესი სასურსათო პროდუქტის ხარისხი ვერ გვაკმაყოფილებდა. გვაკლებდნენ წონაში, გვატყუებდნენ მოხეტებული ტენანტობით და ა. შ.

ბოლო ხანებში მდგომარეობა ჩვენს ქალაქში მკვეთრად შეიცვალა. პურკომბინატის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, ტექნოლოგებმა, მუშებმა არსებითად დაფიქრმნეს მუშაობა და მართლაც რომ სასახელო მაჩვენებლებს მიაღწიეს. მოსკოვში „ქუთაისის დღის“ მონაწილის პირნერები პურის ცხობის ოსტატები არიან. მათ მიერ დამზადებულმა პროდუქციამ, ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვით რომ გაუჭარბესდა, ყველას ყურადღება მიიპყრო. პურკომბინატის სექციანობით დაინტერესდა სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი, კერძოდ, მისი თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოიკოვი. ქუთაისის პურკომბინატის კოლექტივი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუდმივი მონაწილე გახდა. ბევრი სიახლე დაინერგა და ინერგება კვების მრეწველობის ამ მტკიცე შრომატევად და რთულ წარმოებაში. მე პირადად გავეცანი ამ სიახლეებს, რომლებიც პურკომბინატში განხორციელდა. ფქვილის ტარო შემოზიდეა-შენახვისა და შიდატრანსპორტირებისა ახალი მეთოდების დანერგვით ყოველწლიურად 35 ათასი მანეთის ეკონომია მიიღეს. მთელ ქვეყანაში პირველად აქ განხორციელდა ეკრანთ წოდებული „შეწოვის“ პრინციპით მიწოდება ტექნოლოგიურ ხაზებზე. ამ შემთხვევაშიც ეკონომიამ 84 ათას მანეთს გადააჭარბა, ხოლო მცენარეული ზეთის მომპრონედ. ხარჯვისათვის განხორციელებული ღონისძიებით დაზოგილია 14 ათასი მანეთი.

მოსკოველი „ქუთაისის დღეს“ მარტო კარგი ავტომობილი ან ბრეშუმის ნაწარმი, ავეჯი თუ რეზინის ნაწარმი ვერ დაამშვენებდა. როცა ყველა ერთნაირად ეიბრეგნთ მშობლიური ქალაქის მარკის ღირსებისათვის, სახელია და დიდებასაც ერთნაირად გაეინაწილებთ“.

ეს სიტყვები ეკუთვნის სახელოვან ავტომშენებელს, სოციალისტური შრომის გმირს **ბორის ვაშაკიძეს**. იგი ბაშინ ჩაიწერე, როცა ბორისი პავლიოსწმინ ქუთაისის პურკომბინატის სტენდის დათვალიერებას მორჩა. აღტაცება ვერ დაფარა და შთაბეჭდილებანი თანამოსაუბრეებს გაუზიარა.

ჩანაწერი მესამე: „რით უნდა გააკეთო „ქუთაისის დღეს“ დახვეწილი გემოვნების მოსკოველი მოქალაქე, ორგანიზებულობით? პროდუქციის მაღალი ხარისხით? სტენდების გაფორმებით? მხატვრობით? მოხსენებით? ჩვენ უნდა ვეცადოთ ჩვენიანი ნამდვილი სახე შევინარჩუნოთ. ამ მიზნით გამოფენისათვის მზადების დღეებში და თვით გამოფენაზე ბევრმა ბევრ ღამე თეთრად გაათენა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა... თითქმის უკლებლივ ქალაქის ყველა სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი მონაწილეობდა საგამოფენო პროდუქციის სტენდების მოწყობაში... მათ თავიანთი ცოდნა, ძალა და ენერგია არ დაიშურეს „ქუთაისის დღის“ ზომზადებისათვის.

ამ დღის წარმატებაში დიდად დაგვეხმარა და ძვირფასი რჩევა-დარიგება არ მოგვაკლო ლეონიდ სახელმწიფო სტანდარტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ევგენი ვუდავიჩენკომ.

მოგეხსენებათ, მოსკოვში, განსაკუთრებით ზაფხულში, რაოდენ ძნელია მშრომელთა (ორასამდე კაცით იყო წარმოდგენილი დელეგაცია) გადაყვან-გადმოყვანა, მათი ბინითა და კვებით უზრუნველყოფა. ტურისტულ-საექსკურსიო ზომსახურების რეპუბლიკურმა სამმა, ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარღახის“ ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონეს ამ საქმის მოგვარებისათვის“.

ეს სიტყვები ეკუთვნის პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორს **თენგიზ კაკაბაძეს**, რომელიც თვითონ იყო დაკავებული მოსკოვში „ქუთაისის დღის“ ორგანიზაციული საკითხებით.

მინაერი: გამოთვლის დიდ საკონფერენციო დარბაზში, როცა სემინარის მუშაობა შეაჯამა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ტკაჩენკომ განაცხადა: **გამოფენაზე „ქუთაისის დღის“ ორგანიზაცია, მოხსენებათა დონე შეიძლება შეფასდეს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით“.**

სიხარულით აღტაცებულნი და გალაღებულნი, მაგრამ ამასთან ერთად „ერთობ დაფიქრებულნიც დაბრუნდნენ დედაქალაქიდან ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლები. მოხდენილად შენიშნა ერთ-ერთმა მათგანმა: **სახელის მოხვეჭა ძალზე ძნელია, მაგრამ დაკარგვა იოლიაო.** სანამ გაგიცინობდნენ, შეიძლება ყურადღებაც არ მოგაქციონ, ჩრდილში დარჩე. კარგად გაგიცინეს? მოვალეობაც დაეკისრა. ახლა ალბათ გაორკეცებული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ არა მარტო იმიტომ, რომ წარმატება შევინარჩუნოთ, არამედ გავაღრმაოთ და კიდევ უფრო გავზარდოთ.

მშრომელ ადამიანს, მით უფრო კომუნისტს, მიღწეულით დაკმაყოფილება არ სწყვევია. სავსებით სწორად მოიქცა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო. როცა თავის სხდომაზე განიხილა და საფუძვლიანად გააანალიზა მოსკოველ ქუთაისის დღის შედეგები. მთავარი ყურადღება ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს დაეთმო. აღინიშნა, რომ ბაერთო წარმატებათა ფონზე ცალკეულ ხაწარმოთა კოლექტივები დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთ ხაწარმოს. საკმარისი როდია ჩვენი ქვეყნის მოწინავე ხაწარმოთა გამოცდილების დანერგვისათვის გაწეული მუშაობა. დასახული პროგრამით ქუთაისის მრეწველობის მუშაკებმა მეათე ხუთწლედში მთლიან პროდუქციაში ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქციის წარმოება 36 პროცენტამდე უნდა გაზარდონ. ეს რთული, მეტად პასუხსაგები, მაგრამ ხავსებით რეალური ამოცანაა.

ასე რომ. წინ ახალი მიჯნებია და ახალი შეტევა იწყება ხარისხისათვის ბრძოლაში.

დ. გედენიძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მოსკოვი-ქუთაისი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მოსკოვში „ქუთაისის დღის“ მონაწილენი — ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლები; ქვემოთ — ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონი „ხარისხის მართვა-78“.

ბ. ბერსამის ფოტო.
(ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

წერილები მკითხველის თხოვნით

როგორ მივიდეთ ვენახამდე?

ჩვენი ვენახები გაშენებულია დაბა წნორისა და ხირსის მეზობელ ადგილზე, რომელსაც ქუმბათი ეწოდება. აქაური ყურძენი და ღვინო გახმაურებულია მთელ კახეთში. ზემოთახსენებულებს აქ საკარმიდამო ნაკვეთება აქვთ, საიდანაც ყოველწლიურად ხახელმწიფოს 400-500 ტონა ყურძენს ებარებენ. წელს გაცილებით მეტია მოსალოდნელი.

ჩვენი გასაკვირი ის არის, რომ ვენახებში მისასვლელი გზები დახრამულია და მხოლოდ ფეხით თუ შეიძლება იქ მისვლა, ამოდენა ყურძენს კი რა გამოსდგას!

პატიცემული რედაქციავ, იქნებ დაგვეხმაროთ, რომ კოლმეურნეობის ძალებით ცოტათი მაინც შეგვიკეთონ ეს გზა.

ვანო და ფეორე მაძღარაშვილები, გეგო ქადაბიძე, ვასო გენაშვილი — წითელწყაროს რაიონის ხ. ზემო მაჩხანის მცხოვრებლები.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი გვაცნობინებს

წერილის ავტორებთან ერთად კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. ბიკაშვილის, პარტიული კომიტეტის მდივნის ლ. ლეკაშვილის თანდასწრებით ადგილზე შეეხებოდნენ მდგომარეობა. წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ვენახებში მიხასველები გზები მართლაც შეუკეთებელია, ამაზე იმავე დღეს იმსჯელეს გამგეობაში. კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილებით გზის შესაკეთებლად გაიგზავნა ტრაქტორი და ხამი თვითმცელი ავტომანქანა. რთველის დაწყებამდე ვენახში მიხასვლელი გზები წესრიგში იქნება მოყვანილი.

ვლ. მჰედლიშვილი.

სკოლისაკენ... უგზოდ

ახლ გაუძნელდებათ გავშვებს სწავლა

რედაქციაში ცხაკაის რაიონის სოფელ ნაქალაქევიდან ბავშვური ხელით ნაწერი პატარა ბარათი მოვიდა. საშუალო სკოლის 26 მოსწავლე კოლექტიურ წერილში გულისწყრომას გამოთქვამდა: **„ჩვენთან რა ხანია გზის გაკეთება დაიწყეს, მაგრამ ეს ხაქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს—დღემდე დაუმთავრებელია. როცა გაწვიმდება, სკოლაში ვეღარ დავდივართ, ვინაიდან გზაზე გაუვალი ტალახი ჩნდება. ტალახიც რომ არა, გზის გაყოლებით ისე გუბდება წყალი, მდინარე გეგონებათ. არავინ უურადღებას არ გვაქცევს. ყოველდღიურად რამდენნი კილომეტრს ფეხით გავდივართ, ზოგჯერ ვუსწრებთ პირველ გაკვეთილს, ზოგჯერაც — ვერა“.**

მოსწავლეთა წერილმა ნაქალაქევში ჩაგვიყვანა. მივედით საშუალო სკოლაში, რომლის მეგობროებაში შედის ჯიხის, ძიგიდერისა და ლებოლათურის უბნები. უგზოობის მხრივ ყველაზე მეტ გასაკირშია ძიგიდერის უბანი, რომლის ძირითადი, ცენტრალური გზა 4 კილომეტრი სიგრძისაა. უამინდობაში, ანდა როცა ზამთარი ჭირვეულობს, ამ გზის გავლა მართლაც პრობლემაა. ახლახან ერთად ერთხელ კიდევ დავათვალიერეთ ძიგიდერის გზა. ამ ლამაზი ისტორიული სოფლის გზა, მართლაც მოუვლელია. ოღროჩოღოლო გზა ატალახებულია, აქა-იქ პატარ-პატარა გუბეები გაჩენილა. მოსწავლეთა გულისწყრომა სამართლიანია, ამ გზაზე ფეხით სიარული მართლაც ძნელია.

სირცხვილია, რომ გეჯეთის მოწინავე საბჭოთა მეურნეობამ ეს გზა ვერ შეაკეთა. აღნიშნული უბნის მოსწავლეთა მშობლები ხომ ამ მეურნეობაში მუშაობენ? თავს ვერაც ნაქალაქეველი სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომი გაიმართლებს — ტერიტორია ხომ ამ **საბჭომი** შედის. ისე რომ, ამ **გზის** კეთილმოწყობისათვის ორივემ ერთად უნდა იზრუნონს. მათ ქმედითად უნდა დაეხმაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

კარგი იქნება, თუ გეჯეთის საბჭოთა მეურნეობა ან ნაქალაქევის სანერგე მეურნეობა იზრუნებენ სოფლებიდან სკოლაში მოსწავლეთა ავტომანქანით მიყვანისათვის. დღეში ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლა ხომ ქანცავს ბავშვებს. მით უფრო ვიცით, რომ არსებობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება — სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთა უფასო მგზავრობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ავტოსატანსპორტო კანტორების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა და სხვები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მოსწავლეთა მგზავრობა სკოლამდე და უკან.

ვფიქრობთ, დროა უფრად ყველა სამართლიანი მოთხოვნა ძიგიდერის გზის კეთილმოწყობის შესახებ.

არც ერთი დღით, ერთი საათითაც არ უნდა დაიაგვნონ ზომების მიღება აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად იმათ, ვისაც ეს ეხება. მოსწავლეებზე, მათს აღზრდაზე ზრუნვა ხომ ყველა ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ქუსნაბიჯით

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „ქუს ნაბიჯით“, რომელიც ბათუმის ცენტრალური ნავთობბაზის გაკეთებულ ხარეკონსტრუქციო სამუშაოებს ეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური ხაბჭოთა ხოციალისტური რეპუბლიკის მინისტრთა ხაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. უნგბაძე რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები ბათუმის ცენტრალური ნავთობბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გაკეთებულების შესახებ სინამდვილეს შეესაბამება.

აღნიშნულ ობიექტზე ჩამორჩენა ძირითადად განპირობა იმან, რომ მშენებლობისათვის სამშენებლო მოედნის გამოთავისუფლება სხვადასხვა მიზეზის გამო გაჭიანურდა.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1978 წლის პირველი ნახევრის მშენებლობის შედეგების შეჯამებასთან ერთად გააანალიზა ბათუმის ცენტრალური საჩამოსხმელო ნავთობბაზის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულების მდგომარეობა და დასახა კონკრეტული ღონისძიებები არსებული ჩამორჩენის დაძლევისათვის.

ნავთობბაზის რეკონსტრუქციისათვის — საჭირო სამშენებლო ტერიტორია დღეისათვის უკვე გამოთავისუფლებულია — მშენებლობის ტემპი უკვე გაძლერდა. მიმდინარე წლის ივლისში ვეგმით გათვალისწინებული 99 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებულია 102 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გადაჭარბებით შესრულდა აგვისტოს გეგმაც. მიღებულია ზომები სარეკონსტრუქციო სამუშაოების მესამე კვარტლის ბოლომდე დამთავრებისათვის და მუშათა კლების მშენებლობის ტემპის დაჩქარებისათვის. ზემოთ აღნიშნული ობიექტების მშენებლობას დაუწესდა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების კონტროლი.

ოფიციალურ ვიზიტად

ხაბჭოთა მთავრობის მოწვევით 11 სექტემბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბ. ვაჯპაი.

აეროფორუმზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დელეგაციის ვიზიტის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალ დ. თ. უსტინოვის მოწვევით ამა წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ჩეხოსლოვაკიის სამხედრო დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის ალბის გენერალ მ. ძურის მეთაურობით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა საბჭოთა კავშირს.

მიფრინავს „კოსმოს-1031“

1978 წლის 9 სექტემბრს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1031“.

თანამგზავრზე დადგმული ბალისტიკური აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკდესი).

მილიონთა მარქსისტულ-ლენინური უნივერსიტეტი

ავამაღლოთ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დღენიადაგ ზრუნავს კომუნისტების, ყველა შრომელის მარქსიზმ-ლენინიზმის ფილებით, ხალიალისტური და კომუნისტური მშენებლობის ისტორიული გამოცდილებით, პარტიული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ზუსტი გაგებით შეიარაღებისათვის. მოხსენებაში „დიდი ოქტომბერი და კაცობრობის პროგრესი“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა: „ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ჩვენენერგოო ადამიანს მაღალი ხაზოგადოებრივი მიზნებისადმი სწრაფვა, იდეური მრწამსი, შრომისადმი ნამდვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება. აქ გადის კომუნიზმისათვის ბრძოლის მეტად დიდმნიშვნელოვანი ფრონტი, და ამ ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე ხულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური მშენებლობის მიმდინარეობაც და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური განვითარებაც“.

მილიონთა ნამდვილად მასობრივ მარქსისტულ-ლენინურ უნივერსიტეტად გადაიქცა პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემა. მოქმედებს კომუნისტური შრომის ხკოლებიანა და ხახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელი. ყველა ამ ფორმის სწავლებაში 60 მილიონზე მეტი კაცი მეცადინეობს.

განვლილი ხახწავლო წელი ორგანულად იყო დაკავშირებული უდიდეს ხაზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობის მოვლენებთან. ხაბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრობამ აღნიშნეს დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავი. მიღებულია ახალი ხაბჭოთა კონსტიტუცია — მსოფლიოში პირველი განვითარებული ხოციალისტური ხაზოგადოების კონსტიტუცია. ახალი გაქანება, შემოქმედებითი მიდგომა ახასიათებს პარტიისა და ხალხის ბრძოლას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. სსრ კავშირი თავის მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად შეუპოვრად იბრძვის იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის, მშვიდობისათვის, ხოციალური პროგრესისა და ხალხთა თავისუფლებისათვის. ხულ უფრო აქტიური ხდება ორი ხისტემის იდეური წინააღმდეგობა.

პარტიული პროპაგანდის ცენტრშია უმაგალითოდ ფართო წრის პრობლემები, რომლებიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ხაზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრაქტიკასთან. მასობრივი ხახალხო თავეზეა ჩენეზეა სსრ კავშირის უმაღლესი ხაბჭოს რიგგარეშე მეშვიდე ხუხილის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ხაზეიმო ხხდომის მახალებმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებების „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, „დიდი ოქტომბერი და კაცობრობის პროგრესის“, მოხსენების „ქუთაისის დღის“ ორგანიზაციული საკითხებით.

მინაერი: გამოთვლის დიდ საკონფერენციო დარბაზში, როცა სემინარის მუშაობა შეაჯამა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ტკაჩენკომ განაცხადა: **გამოფენაზე „ქუთაისის დღის“ ორგანიზაცია, მოხსენებათა დონე შეიძლება შეფასდეს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით“.**

სიხარულით აღტაცებულნი და გალაღებულნი, მაგრამ ამასთან ერთად „ერთობ დაფიქრებულნიც დაბრუნდნენ დედაქალაქიდან ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლები. მოხდენილად შენიშნა ერთ-ერთმა მათგანმა: **სახელის მოხვეჭა ძალზე ძნელია, მაგრამ დაკარგვა იოლიაო.** სანამ გაგიცინობდნენ, შეიძლება ყურადღებაც არ მოგაქციონ, ჩრდილში დარჩე. კარგად გაგიცინეს? მოვალეობაც დაეკისრა. ახლა ალბათ გაორკეცებული ენერგიით უნდა ვიმუშაოთ არა მარტო იმიტომ, რომ წარმატება შევინარჩუნოთ, არამედ გავაღრმაოთ და კიდევ უფრო გავზარდოთ.

მშრომელ ადამიანს, მით უფრო კომუნისტს, მიღწეულით დაკმაყოფილება არ სწყვევია. სავსებით სწორად მოიქცა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო. როცა თავის სხდომაზე განიხილა და საფუძვლიანად გააანალიზა მოსკოველ ქუთაისის დღის შედეგები. მთავარი ყურადღება ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს დაეთმო. აღინიშნა, რომ ბაერთო წარმატებათა ფონზე ცალკეულ ხაწარმოთა კოლექტივები დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთ ხაწარმოს. საკმარისი როდია ჩვენი ქვეყნის მოწინავე ხაწარმოთა გამოცდილების დანერგვისათვის გაწეული მუშაობა. დასახული პროგრამით ქუთაისის მრეწველობის მუშაკებმა მეათე ხუთწლედში მთლიან პროდუქციაში ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი პროდუქციის წარმოება 36 პროცენტამდე უნდა გაზარდონ. ეს რთული, მეტად პასუხსაგები, მაგრამ ხავსებით რეალური ამოცანაა.

ასე რომ. წინ ახალი მიჯნებია და ახალი შეტევა იწყება ხარისხისათვის ბრძოლაში.

დ. გედენიძე.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მოსკოვი-ქუთაისი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — მოსკოვში „ქუთაისის დღის“ მონაწილენი — ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლები; ქვემოთ — ხახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონი „ხარისხის მართვა-78“.

ბ. ბერსამის ფოტო.
(ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება

— — — — — — — საკვლევის კორესპონდენტები იტყობინებიან — — — — — — —

კინოეპოპეა დიდ სამამულო ომზე

ვაშინგტონი. (საკვლევი). აქ მოიწყო დიდი ზამამულო ომზე დოკუმენტური სატელევიზიო კინოციკლის გასინჯვა. საბჭოთა და ამერიკელმა კინემატოგრაფისტებმა ამერიკის „ეარ ტაიმის“-კომპანიის შეკვეთით კინოეპოპეის 20 ფილმი შექმნეს მეორე მსოფლიო ომის სამხედრო კინოქრონიკის მასალების საფუძველზე. მაყურებელს უჩვენეს ორი თვალი: რეჟისორ ტ. სემიონოვის „ლენინგრადის ბლოკადა“ და რ. კარმენის „ომის უცნობი ფრონტი“.

დიდი ყურადღებით შეხვდნენ ტელემაყურებელთა წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას. ლენინი ილიას ძე ბრეჟნევმი თქვა:

ისტორიაში არ ყოფილა ისეთი საომანელი, ისეთი სისასტიკეებიანელი, ისეთი დამაგრეველი ომი, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ნაცისტმა აგრესორებმა ატეხეს.

ამ ომმა 20 მილიონი საბჭოთა ადამიანის ხეოცოცხლე შეიწირა. ჩვენი ხალხი ვერაფერს ვერ დავიიწყებს მას!

ჩვენ გვინდა, რომ პლენტის ახალგაზრდა მეცხოვრებლებს ავაცდინოთ ის განცდები, რომლებიც ჩვენს თაობას ხვდა ომის წლებში.

ფილმების დემონსტრაციის შემდეგ გამართულ დარბაზობაზე გამოსულმა თვალსაჩინო ამერიკელმა პროგრესულმა მოღვაწემ, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საბჭოთა კავშირში ა. ჰარიმანმა თქვა: საბჭოთა ხალხს არ უნდა ომი. „ეს მე ბევრჯერ მსმენია პირადად ლ. ი. ბრეჟნევისგან და მწამს, რომ ეს მართლაც ასეა. ისინი, ვინც ამტკიცებს, თითქოს არსებობდეს საბჭოთა „საფრთხე“, უბრალოდ პარანოიკოსები არიან. ეს ფილმი კვლავ მარწმუნებს, რომ ხალინოა გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ რუსები და ამერიკელები მეგობრულად ცხოვრობდნენ.

ამერიკელმა ხალხმა უნდა ნახოს ეს ფილმი, და მაშინ ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხებს გაცილებით მეტი რამ აახლოებს, ვიდრე თიმაცს, თქვა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა. ფილმი მოწმობს, რომ საჭიროა გაფართოვდეს ორი ქვეყნის თანამშრომლობა ხელ სხვადასხვა დარგებში.

ჩემი აზრით, ეს ფილმი ყურადღებას მნიშვნელოვანია იმ ფილმებს შორის, რომლებიც ოდესმე გამოსულა ეკრანზე, თქვა ცნობილმა ამერიკელმა პოეტმა და კომპოზიტორმა რ. მაკიუ�მა.

ურთიერთგაგების ინტერესებისათვის

ე. კენედის ინტერვიუ

მთავარი საკითხი, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევთან საუბრის დროს განვიხილეთ, იყო ჩვენი ქვეყნების ურთიერთნდობის საკითხი. განუცხადა ხაკდესის კორესპონდენტს ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ სენატორმა ედვარდ კენედიმ, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

ლ. ი. ბრეჟნევს პირველად ოთხი წლის წინათ შეეხვდი, თქვა სენატორმა. და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ მნიშვნელოვანმ, რომელსაც იგი ანიჭებდა შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმების მოღწევას. ვფიქრობ, რომ ამასვე გულწრფელად ესწრაფვიან ყველა საბჭოთა ადამიანი. ამაში პირადად დავრწმუნდი, როცა მათ ვესაუბრებოდი ტაშკენტის, ალმა-ათის, სამარყანდის — იმ ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე, რომლებსაც ეწვევი.

პროგრესი, რომელსაც უკანასკნელი წლების მანძილზე მიეღწეთ ორი ქვეყნის ურთიერთობაში, უაღრესად დიდმნიშვნელოვანია არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც, თქვა შემდეგ სენატორმა. ახლა ჩვენი ქვეყნები აწარმოებენ უაღრესად ძნელ მოლაპარაკებას, რათა მიაღწიონ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და ატომური გამოცდების ყოველსმომცველი აკრძალვის შეთანხმებას. ჩვენ ვმუშაობთ აგრეთვე შეიარაღებული ძალების ურთიერთშემცირების საკითხებზე, ვცდილობთ მიეაღწიოთ მეტ გაგებას მთელ რიგ სხვა საკითხებში.

ამხიდეს მზაკვრული გეგმები

ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკება

ჰანოი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა ვიეტნამში მცხოვრებ ჩინელებთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოლაპარაკების მეხუთე სხვომის შესახებ.

ვიეტნამის დელეგაციის მეთაურმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხოანგ ბიტ შონმა დამსწრეთ მოაგონა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ომპერიალისტების წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის ყველაზე დაძაბულ და სასხლეულ პერიოდში ჩინეთის ჰანოის საელჩო, რომელმაც თავი მოიკიდა ჩინური ეროვნების პირების წრეში, ქმნიდა „აქტივისტების“ ძალებს, რომლებსაც იყენებდა იმისათვის, რომ „მოეწყოთ ადგილებზე „ჯანყებები“ და მოეხდინათ ვიეტნამში „კულტურული რევოლუცია“.

ყველა ეს მოქმედება, ხაზგასმით აღინიშნა ხოან ბიტ შონმა, ერთ მიზანს ისახავდა — გამოეწვია არევ-დარევა და მოეწყო გამოსვლების დამოუკიდებლობის, თავისთავადობის, საერთაშორისო სოლიდარობისათვის მებრძოლი ვიეტნამის პარტიისა და მთავრობის კურსის წინააღმდეგ, ვიეტნამის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელსაც ჩინეთმა უწოდა „რევიზიონისტული, პროსაბჭოური და ანტიჩინური“. მაგრამ ჩინეთის ამ ზრახვებმა „ჯანი განიცადა.

სამხრეთ ვიეტნამის სრულ განთავისუფლებამდე ჩინეთის მხარემ ჩინური ეროვნების პირები გამოიყენა აგრეთვე თავისი ხანგრძლივი გეგმების შესრულების იარაღად. ჩინეთმა შექმნა ეგრეთ წოდებული „მშვიდობის მომხრე ჩინელი ემიგრანტების ასოციაცია“, რომლის მიზანი იყო განემტკიცებინა ძალები, დაელოდა ხელსაყრელი შემთხვევისათვის, დაერაზმა ბურჟუაზია, გაეგზავნა ფულადი სახსრები და ტექნიკური ძალები ჩინეთის მშენებლობისათვის. საიგონის განთავისუფლებისთანავე ჩინეთის მხარემ განაგრძო თავისი საიდუმლო ქსელის გაფართოება, ახალი ორგანიზაციების შექმნა და მათი სამოქმედოდ გაგზავნა თავისი ზრახვებიდ შესასრულებლად. როცა სამხრეთ ვიეტნამში დაიწყო მრეწველობისა და ვაჭრობის კერძო კაპიტალისტური სექტორის სოციალისტური გარდაქმნა ჩინეთის მხარე ცდილობდა შეენარჩუნებინა ჩინეთის ბურჟუაზიის მონოპოლისტური პოზიციები სამხრეთ ვიეტნამის ეკონომიკაში, რათა სიძნელეები შეექმნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

ახლახან, თქვა, ხოანგ ბიტ შონმა, ჩინეთის მხარემ, რომელიც აცხადებს თითქოს „ვიეტნამი დეგენერდა, ტროსკის უწოდეს და ერეკეტობდეს ჩინელ ემიგრანტებს“, თავისი მზაკვრული გეგმის შესაბამისად ათიათასობის ჩინური ეროვნების პირი აიძულა წასულიყვნენ ჩინეთში, შემდეგ კი ისარგებლა ამით, რათა სრულიად შეეწყვიტა მისთვის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარება და გაეხმო ყველა სპეციალისტი.

ამჟამად ჩინეთის მხარე, რომელიც ახალ ნაბიჯს დგამს ვიეტნამის საწინააღმდეგო პოლიტიკის ესკალაციაში, პირებს უკან გაგზავნის ისინი, ვინც ადრე დატოვა ვიეტნამი. ჩინეთის მხარეული წრეები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ ექსპანსიონისტურ, დიდმპყრობელურ და ჰეგემონისტურ ზრახვებს, ცილს სწამებენ ვიეტნამს. აშკარაა, რომ პეკინელი ლიდერები ჩინური ეროვნების პირებს მოუწოდებენ იმოქმედონ ვიეტნამის საბჭოლმწყობა და ვიეტნამის რევოლუციის წინააღმდეგ, რადგან მიიჩნიეთ, რომ ისინი დაბრკოლებას უქმნიან ჩინეთს განაგრძოს აღმოსავლეთ აზიაში თავისი ექსპანსიონისტური ზრახვები.

ხოანგ ბიტ შონმა წამოაყენა მთელი რიგი წინადადებები, რომელთა მიზანია ვიეტნამში მცხოვრები ჩინური ეროვნების პირების ბედიღბლის გადაწყვეტა:

ვიეტნამის მთავრობა ჩინური ეროვნების პირებს მოუწოდებს დარჩნენ ადგილებზე, განაგრძონ ნორმალური ცხოვრება და იშრომონ ვიეტნამში. ჩინეთის მხარემ უნდა შეწყვიტოს მათი გამოყენება ვიეტნამის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის;

ჩინური ეროვნების პირები, რომელიც სურთ ვიეტნამიდან ჩინეთში წასვლა, მიიღებენ ვიეტნამის კომპეტენტური ორგანოების ნებართვას. ვიეტნამის მხარე მზადაა ყველა პირობა შეუქმნას მათ ჩინეთში გამგზავრებისათვის;

პირებს, რომლებმაც ამის წინათ დატოვეს ვიეტნამი და ჩინეთში წავიდნენ, ეკრძალებათ ვიეტნამში დაბრუნება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ჩინეთის მხარემ თავისი ნებასურვილით უკანონოდ არ უნდა გაგზავნოს ეს ხალხი ვიეტნამში.

სხდომაზე გამოსვლისას ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა ჯუნ სი-ლუანმა გაიმეორა ძველი ცილისმწამებლური მონაბეორები ვიეტნამის პოზიციის შესახებ ჩინური ეროვნების პირებთან დაკავშირებით.

ვიეტნამის დელეგაციის მეთაურმა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ვიეტნამის სინფორმაციო საგენტო, გადაჭრით უარყო ჩინეთის მხარის შეთითხნილი მონაბეორი.

ირანის ამბები

თეირანი, 11 სექტემბერი (საკდესი). ხამხედრო წესები, რომელიც ნახევარი წლის ვადით გამოცხადდა თეირანსა და ქვეყნის 11 სხვა უდიდეს ქალაქში, ჯერ-ჯერობით ვერ აცხრობს დაძაბულ ვითარებას. ირანის დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე ალაინდებურად დადიან პოლიციელთა, უანდარმთა და რეგულარული ჯარების რაზმები. უმნიშვნელოვანესი მაგისტრალების გზაჯვარედინებს ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები იცავენ. დაცვა გაუძლიერეს ამერიკის თეირანის საელჩოს.

დემონსტრაციებისა და მიტინგების აკრძალვის მიუხედავად გუშინ ქალაქ ყუმში მთავრობისაწინააღმდეგო ლოზუნგებით ქვლავ გაიმართა ბალმზრავალი მანიფესტაცია. როგორც თეირანის რადიო ეუწყება, ჯარებმა ცეცხლი დაუშინეს დემონსტრანტებს. არის მსხვერპლი.

აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების თანახმად მარტო გასულ პარასკევს დედაქალაქში 95 კაცი დაიღუპა.

მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში, რომლებიც ახლა მთელ ქვეყანას მოედო, ფართოდ მონაწილეობენ სხვადასხვა მმდინარეობებისა და დაჯგუფებების, მათ შორის რელიგიური წრეების წარმომადგენლები.

პარიზი. 11 სექტემბერი. (საკდესი). ეჰვს გარეშეა, აღნიშნავს ფრანგული გაზეთი „ფიგარო“, რომ შაჰს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ძალური დარტყმით ჩაახშოს სახალხო წინააღმდეგობა და იხსნას მმართველი დინასტია. მაგრამ, ხაზს უსვამს გაზეთი, იგი ასეთივე სიმტკიცეს წააყენა ოპოზიციის მხრივაც.

ამ გაზეთის კორესპონდენტი იმოწმებს თეირანის საგაზეთო-ფოგებიდან მიღებულ ცნობებს და ამტკიცებს, მარტო თეირანში ბოლოდროინდელი ამბების დროს დაახოცილთა რიცხვი 1450-ს სჯარბობსო.

მეორე ბურჟუაზიულ გაზეთს „მატენს“ მოაქვს ირანის ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის კომიტეტის პარიზელი წარმომადგენლის მონაცემები იმის შესახებ, რომ მთელ ირანში დაზიანებულია 3.798 კაცი.

ვაშინგტონი. 11 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის დედაქალაქის პოლიტიკურ წრეებში უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალს ირანის ამბებს განვითარებას. თუმცა სიტყვით თეორმა სახლმა ხანგრძლივი გამოთქვა მხვერპლის გამო, რომელიც იქ მოხდა, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციის რეაქციაში არ ჩანს „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საყვარელი თემა. პირიქით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა შაჰთან ტელეფონით საუბრის დროს დაადასტურა შეერთებული შტატებისა და ირანის ურთიერთობის „მჯიდრო და მეგობრული“ ხასიათი და ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „დასავლეთან ირანის კავშირის შენარჩუნებას“.

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ თეირანსა და ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში სამხედრო წესების შემოღება აუკარავებს ირანის ხელისუფალთა ნამდვილ სახეს და მათს ეგრეთ წოდებულ ოპოზიციასთან „შერიგების პოლიტიკას“. ახლანდელ რეჟიმს, ნათქვამია განცხადებაში, არ ძალუძს გადაწყვიტოს ქვეყნის სოციალური პრობლემები, რომლებიც პოლიტიკურ კრიზისს უდევს საფუძვლად.

ირანელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, რეპრესიის მიუხედავად განაგრძობს თავის სამართლიან ბრძოლას. იგი იბრძოლებს თავის ეროვნული და დემოკრატიული მიზნების მიღწევისათვის.

ირანის სახალხო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას „მხარი დაუჭიროს ირანელი ხალხის სამართლიან სიქმეს“.

12 სექტემბერი ეთიოპიის რევოლუციის დღეა

დიდ ცვლილებათა ეროვნული ხ ა ბ ი ჭ ი

12 სექტემბერს ეთიოპიელი მშრომელები აღნიშნავენ სახალხო რევოლუციის მეოთხე წლისთავს.

1974 წლის ამბებში, რომლებსაც სექტემბერში ათასწლოვანი მონარქიის დამხობა მოჰყვა, მონაწილეობა მიიღო ათიათასობით მშრომელმა, მაგრამ მათ ჯერ არ ჰქონდათ თავიანთი ორგანიზაცია და ნათელი არ იყო საბოლოო მიზნები. ძალაუფლება ხელთ აიღეს სამხედრო მოსამსახურეთაგან გამოსულმა რევოლუციურმა დემოკრატებმა. არმია იყო და არის ქვეყნის ყველაზე ორგანიზებული და დისციპლინიანი ძალა, ოფიცრებსა და სერჟანტებს კი, რომლებმაც დრეგითი სამხედრო აღმინისტრაციული საბჭო შექმნეს, მტკიცედ სწამთ, რომ მხოლოდ სოციალისტურ ორიენტაციას შეუძლია უზრუნველყოს ჩამორჩენილი ფეოდალური ეთიოპიის ძნელი პრობლემების გადაწყვეტა.

სახელმწიფო კონტროლს დაექვემდებარა წარმოების ყველა ძირითადი. საშუალება მრეწველობაში, განაწილებისა და მომსახურების სფეროში. ახალმა შრომის კანონმდებლობამ 8-საათიანი სამუშაო დღე დაწესა, უზრუნველყო შრომის უფლება და მუშა-მოსამსახურეებს მიანიჭა საჩრდილველი და სავაჭრო საწარმოების მართვაში მონაწილეობის უფლება. ქარხნებში მოქმედებს მუშათა კომიტეტები.

1975 წლის მარტში გამოცხადდა აგრარული რეფორმა, რომელიც ნამდვილი რევოლუციაა იყო ეთიოპიის სოფელში. მან მოსპო მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა, გაათავისუფლა გლეხი ფეოდალური გადასახადებისაგან და მიწა გადასცა იმათ, ვინც მას ამუშავებს. მსხვილი მამულები და პლანტაციები სახელმწიფო მეურნეობებისა და კოოპერატივების საკუთრებაში გადაიცა. ამ რეფორმამ პირობები შეუქმნა როგორც გლეხობის — მოსახლეობის 90-ზე მეტი პროცენტის ცხოვრების დონის ამაღლებას, ისე სოფლის მეურნეობის აღმავლობას. სოფლის მეურნეობა კი ეკონომიკის ძირითადი დარგია, რომელიც მთელი ეროვნული პროდუქტის თითქმის 60 პროცენტს იძლევა და ექსპორტის 97 პროცენტს უზრუნველყოფს.

ნაციონალიზებულია მიწა ქალაქებში, რის შედეგად მკვეთრად შეუცირდათ ბინის ქირა მოსახლეობის მცირემიჯოფასიან ფენებს და ინტენსიური სამშენებლო მშენებლობა გაიშალა. ფიდელ კასტროსა და უცხოელ ბიზნესმენთა კუთვნილი სასახლეები და ვილები სახოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახსწავლებლებს გადაეცათ. ფართო ნათელ შენობებში, სადაც წინათ მოწყენილი მაღალი წრის მანდილოსნები ჭორაობდნენ, ახლა ღარიბ-ღატაკთა ბავშვები ირთიმატიკის გაკვეთილებზე კობტად აწყობენ ბოთლების თუნუქის საცობებს, რომლებსაც ისინი საბნგარიშოდ იყენებენ.

ამჟამად ეთიოპიის რევოლუცია თავისი განვითარების გადამწყვეტ ეტაპზეა. ნამდვილი დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის შეუპოვარ კლასობრივ ბრძოლაში ქვეყნის მშრომელმა ხალხმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის პროგრამის განხორციელების გზაზე. დროებითი სამხედრო აღმინისტრაციული საბჭო ახლა ადგენს ეროვნული ეკონომიკის ორგანიზაციებსა და სახსოვრებლებს ამოცანად სასავს მუშათა კლასის ავანგარდული პარტიის — საბალხო რევოლუციის მონაპოვარია გარანტის შექმნას.

წარმატებით ვითარდება ახალი ეთიოპიის მრავალმხრივი თანამშრომლობა სსრ კავშირთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კუბასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. სოციალისტური ქვეყნების მიერ ეთიოპიის რევოლუციის სამართლიანი საქმის მხარდაჭერა, ხაზი გაუსვა დროებითი სამხედრო აღმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა, ოთხი წლის განმავლობაში ხელს უწყობდა მას გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი და ღირსეულად დადგინა თავი ურთულესი განსაცდელისათვის. ეთიოპიის რევოლუციის ძალა — ეს არის ხალხის ფართო მასების შეკავშირება, ის მრავალმხრივი მხარდაჭერა, რომელსაც მთელი პროგრესული კაცობრიობა, და უწინარეს ყოვლისა სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოები უწევენ მას.

ი. უსტიმენკო.
(საკდესი).

ადის-აბება-მოსკოვი.

ძალმომრეობის თავისუფლება

ხამი ახმახი „კოკი“, ახე უწოდებენ ზიზღით პოლიციელებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხელებს უგრეხს მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე ქალს. რეზინში ამოვლებული ტყვიის მათრახი, ცრემლსადენი გაზი, მძლავრი ბრანდსპოიტები ხულ უფრო ხშირად ხდება ამერიკელი „წესრიგის გუშაგთა“ ერთადერთი „არგუმენტი“ იმათ მიმართ, ვინც თავისი უფლებებისათვის, გამაბებული შეიარაღების წინააღმდეგ იბრძვის.

როგორც კი დემონსტრანტებს ხვდებიან, პოლიციელები უმალ ხელს იარაღზე იკრავენ ხოლმე, როგორც ამერიკის პრესა ადასტურებს, მიმდინარე წლის დამდეგიდან პოლიციამ ორმოცჯერ დაუშინა ცეცხლი უიარაღო დემონსტრანტებს. ტყვია ანაზარებდა ჰაერს გაფიცულთა თავზე, ცხრილავდა სახლების კედლებს. ჰაერში ისროდნენ? ცხრა კაცი მოკლულია!

ამ ფოტოხურათზე პოლიციელებს სრულიად მშვიდი სახე აქვთ. მათ სწამთ საკუთარი თავისა, უფრო სწორად იმისა, რომ დაუსჯელი დარჩებიან, იციან, რომ ოფიციალური ვაშინგტონის თვალთმაქცური ლაყბობას „ადამიანის უფლებათა“ შესახებ საერთო არა აქვს რა მათ „მუშაობასთან“.

ვ. პასტომოვი.
საკდესის ფოტო.

პორტუგალიის კომპარტიის პოზიცია

ლისაბონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ოფიციალურ გაზეთ „ავანტე!“ დღესასწაულებასთან დაკავშირებულ დასკვნის მიტინგზე.

შეეხო რა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბუნებ გამართული პლენუმის შედეგებს, რომელმაც განიხილა პორტუგალიის პოლიტიკური ვითარება, ა. კუნიალმა აღნიშნა მისი „სირთულე და გაურკვეველობა“. მან ხაზი გაუსვა, რომ „ა. ნობრე და კოშტას მთავრობა არ შეესაბამება პორტუგალიის მშრომელთა და მთელი ხალხის ინტერესებს“. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა პორტუგალიის კომპარტიის საპარლამენტო ჯგუფს დაავალოს რეპუბლიკის კრებაში შეიტანოს რეზოლუცია, რომელიც უარყოფს ა ნობრე და კოშტას მთავრობის პროგრამას.

ინდოეთი

ინდოეთი. (საკდესი). აქ ბოლოს ჩატარებულ ეროვნულ-ეკონომიკურ ფორუმზე ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის ზრდა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითადი ამოცანად ჩაეთვალა. ინდოეთის ეროვნული ეკონომიკა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ინტენსიურად ვითარდებოდა. ინდოეთის ეროვნული ეკონომიკა ინდოეთის ეროვნული ეკონომიკა ინდოეთის ეროვნული ეკონომიკა

გასტროლები ბელგრადში

□

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი გამარჯვება

ბელგრადი, 11 სექტემბერი. (საკ. კორ.). ბელგრადის საერთაშორისო ფესტივალ „ბიტეფ-78"-ზე თბილისი-შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობთა პირველ გამოსვლას აღფრთოვანებით შეხვდნენ ოეგოსლავი თეატრის მოყვარულნი. ორ დღეს ბელგრადის სახალხო თეატრის დარბაზში ტევა არ იყო. სცენაზე ქართველი ქსახიობები აჩვენებდნენ სპექტაკლს „კავკასიური ცარცის წრეს" ბ. ბრეჰტის პიესის მიხედვით.

„ქართველი მსახიობები, ახალგაზრდა რეჟისორის რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით, თამამობდნენ ტემპერამენტით, ზუსტად წარმოსახავდნენ გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის პიესის გმირებს, — წერდა, აღრძოდ, გაზეთი „ვეჩერნიეი". — თბილისის თეატრალური კოლექტივის ხელოვნება დამსახურებულად დააჯილდოვეს მქუხარე ტაშით".

ბელგრადში გამოსვლების შემდეგ თეატრის კოლექტივი მოაწყობს საგასტროლო მოგზაურობას ოეგოსლავიაში. ქართველ მსახიობთა ოსტატობას გაეცნობიან ზაგრებისა და სარაევოს, აგრეთვე თბილისის დაძმობილებული ქალაქის — ლუბლიანის მაყურებლები.

მოსკოვური დღიურები

1. ტუშინოში ფილმს იღებენ

კინო გამოჩენილ კონსტრუქტორზე

„პოემა ფრთებზე" — სახელწოდებით ცნობილი რეჟისორი დ. ხრაბროვიცკი კინოსტუდია „მოსფილმში" იღებს მხატვრულ ფილმ-დილოგიას. ჩვენ ტუშინოს აეროდრომის მწვანე მინდორზე პირდაპირ გადასაღებ მოედანზე ვესაუბრებით ფილმის ოპერატორს, რუსეთის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. არდაშნაკოვს: „ფილმი ნოგინთხრობს გამოჩენილი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორის ანდრეი ნიკოლოზის ძე ტუპოლევის შესახებ. მის სახეს ქმნის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. სტრუელჩიკი.

ფილმში დაუვიწყარი შტრიხებით არის ნაჩვენები ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფის, ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის სერგო ორჯონიკიძის კოლოსალური ფიგურა, მისი ურთიერთობა და მეგობრობა ტუპოლევთან ორჯონიკიძის დაუშრეტელი ენერგია და ბრწყინვალე ადმინისტრაციული ნიჭი, რომელიც მან მოახმარა საბჭოთა ავიაციის განვითარებასა და მუშაობას მისი მომავალი მაღწევებისთვის".

ს. ორჯონიკიძის როლს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ე. მაღალაშვილი.

• • •

სურათზე: ფილმის „პოემა ფრთებზე" კადრი. ა. ტუპოლევი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. სტრუელჩიკი, ს. ორჯონიკიძე — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ე. მაღალაშვილი.

2. ეკზიუპერის ავტოგრაფი

1935 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის კორესპონდენტად მოსკოვს ჩამოვიდა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი. მოსკოვში ყოფნის დროს იგი ცდილობდა ჩასწვდომოდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ეგრძნო ის შეუნელებელი რტები და აღმაფრენა, რომელიც ასე ძალუმად ჩქეფდა მოსკოვის ქუჩებში.

ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ალმოაჩინეს გამოჩენილი ფრანგი მწერლის ავტოგრაფი. ეს არის ამაღელვებელი სტრიქონები, რომლებიც ეკზიუპერიმ საბჭოთა ხალხს, მათ შრომითს გმირობასა, და შემართებას უძღვნა. „მე მგონია, — წერს ეკზიუპერი, — როცა ხალხი იაეთი გრანდიოზული მშენებლობის დროს, როგორიც არის მოსკოვის მეტრო, მაქსიმუმ ყურადღებას აქცევს შენობის განათებას და ბრწყინვალებას. უკვე მეტად სასიხარულო ამბავია. ეს კიდევ იმას მოწმობს, რომ ასეთი ხალხი იმედით შეაცქერის თავის მომავალს".

მოგვიანებით, უკვე საფრანგეთში ყოფნისას, ეკზიუპერიმ გამოაქვეყნა კეთილი სურვილებით აღსავსე, საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი ნარკვევები.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
მ. მოსკოვი.

ექსპედიცია ველზე გავიდა

ამ გაზაფხულზე გურიის სოფელ ჯიხანჯირის მკვიდრმა ილია გურგენაძემ აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიტანა 130-ოდე ვეიცხლის მონეტა, იმ დიდი განძის ნაწილი, რომელიც სოფელ ჯიხანჯირში „ნასტეფნარის" გორაზეა აღმოჩენილი (განძის აღმოჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის მე-5 კლასის მოსწავლეს გოდერძი გურგენაძეს). ყოველი არქეოლოგიური აღმოჩენა გურიაში ფრიად დიდი მნიშვნელობისაა, რადგან საქართველოს ეს პროვინცია ისტორიულ-არქეოლოგიურად დღემდე სუსტად არის შესწავლილი. ამიტომაც იყო, რომ ჯიხანჯირის განძის აღმოჩენის ადგილის მოსახლეობელად სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი მუზეუმის თანამშრომელი.

ლანჩხუთის რაიონის სოფელი ჯიხანჯირი გურიის (ნიგოათის) ქედის შავი ზღვისკენ მიმართული ერთ-ერთი განშტოების თხემზეა გაშენებული. ფრიად საყურადღებოა თვით სოფლის სახელი ჯიხანჯირი. იგი აშკარად მეგრულ-ჭანური წარმომობისაა და ციხის ძირს ნიშნავს (ჯიხა-ციხე, ჯირი — ძირი). ეს ტოპონიმი ამ სოფლის მიდამოებში ციხის არსებობას გულისხმობს, რომლის კვალი დღემდე არ იყო მიკვლეული.

ილია გურგენაძის, აგრეთვე ადგილობრივი ხელმძღვანელობის დამხმარეთ შეგრიდად თითქმის ყველა მონეტა, მოხილულ იქნა „ნასტეფნარი" და მასთან დაკავშირებული ნაციხრებისა და ნაგზაურების მთელი სისტემა.

მონეტების აღმოჩენის ადგილი — „ნასტეფნარი" მაღალი გორაკია, რომელიც სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან გადაკვეთრის. მისი მწვერვალიდან კარგად მოჩანს კოლხეთის დაბლობის უმეტესი ნაწილი. „ნასტეფნარის" გორა საშუალოდა ქედის განშტოების ორ „ნაციხვარ" გორას შორის. „ნასტეფნარი" და ორთავე „ნაციხვარი" ძველთანგვე ტაბეორებულ ადგილად ყოფილა დამცავადებული (აქედან ქვის ან სხვა საშენი მასალის წაღებას „ბძნილობენენო". ამბობენ ჯიხანჯირელები). თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და მომდევნო ხანებში ეს ტაბეო ხშირად დაურღვევიათ. თვით „ნასტეფნარის" გორის თავზე, რომელიც მცირე მოედანს წარმოადგენს, ამ რამდენიმე წლის წინათ საერთაშორისო ტერმინოლოგიით წარტილ დაუდგამთ. მუშაობისას აქ შემორჩენილი შენობის ნაშთი დათაც ჯიხანჯირელები „საეტლო გზას" უწოდებენ.

„ნასტეფნარის" აღმოსავლეთით მდებარეობს ე. წ. „გორგოშაულის ნაციხვარი". იგი საკმაოდ დიდია. ტყით და მცენარეულობით დაბურულ ფერდობებზე კარგად შეიმჩნევა ჩამოქცეული კედლის დიდი საპირე ქვები. დღეობი და წითელკეცანი კერამიკის ფრაგმენტები. ეს უკანასკნელი დიდი (ქვევრების) და მცირე ჭურჭლისაა, შეჭყლეტა სხვადასხვა სახეებით (თოკისებური, საკარცლისებრი და სხვა სახე); ზოგიერთი მათგანი თითქოს აღრეფეოდალური იერისაა.

მეორე ნაციხვარი, რომელიც „ნასტეფნარის" დასავლეთით მდებარეობს (მას პირობითად „კიბულაის ნაციხვარს" ეუწოდებთ), ბევრად უფრო დიდი და შთამბეჭდავი. იგი შორიდანვე კარგად მოჩანს „კიბულაის" მთაზე აზიდული და სამხრეთ-დასავლეთისაკენ გამოყოფილი „ულეთ". ამ მხრიდან ზედაპირზე ნათლად ჩანს შენობის კედელი. იგი კოშკის ან კარიბჭის ნაწილი უნდა იყოს, ნაშენები რიყის ქვითა და დეფლებით. ნაციხვარის ცენტრალურ ნაწილში პატარა ტბაა, იგი სომბარის ზეოლ რეზერვუარად შეიძლება მივიჩნიოთ. მის აღმოსავლეთით შეიმჩნევა ნაგებობის ნაშთი — რიყის ქვით, დეფლებითა და ბრტყელი აგურის სარტყლებით, ნაგები, რაც რომაულ სამშენებლო ტექნიკას მოგვაგონებს. „კიბულაის ნაციხვარის" თითქმის მთელ ტერიტორიაზე გაფანტულია აგურისა და ბრტყელი გვერდებაკეცილი კერამიკის ფრაგმენტები; აკრეფილ იქნა წითელკეციანი კერამიკის მცირე კოლექციაც.

მონეტების განძის აღმოჩენა ასეთ „გარემოცვაში" შემთხვევითობის ფარგლებს სცილდება და სრულიად კანონზომიერი ჩანს, როგორც გიორგა, „ნასტეფნარის" „გორგოშაულის ნაციხვრიდან" „კიბულაის ნაციხვარამდე" მიმავალი ნაგზაური საშუალედოა, მონეტებსაც სწორედ გზასთან (ვაჭრობა?) უნდა ჰქონდეს კავშირი. განძი შეიცავს 318 თურქულ ვერცხლის მონეტას („ახჩას"), რომელთაგან მოჭრილია XVI საუკუნის 70-80-იან წლებში. თურქული ფულის განძების აღმოჩენა გურიაში იშვიათი არაა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ოსმალეთის იმპერია ტრაპიზონის სამეფოს დაპყრობის შემდეგ (1461 წ.) უშუალოდ დაუმეზობლდა საქართველოს. ამის შემდეგ თითქმის XVIII საუკუნის მიწურულამდე ეს სამხედრო-მარბაროსული იმპერია ჩვენი მეზობელი იყო როგორც სამხრეთ დასავლეთის მხრიდან, ისე ჩრდილო-დასავლეთიდან, და განუწყვეტელ სამხედრო ექსპანსიას აწარმოებდა საქართველოს მიმართ. გამორიცხული არ არის, რომ მონეტების განძი დაფლულ იქნა თურქების ერთ-ერთი შემოსევის დროს. საინტერესოა, რომ ჯიხანჯირში არსებობს გადმოცემა, თითქოს ამ მიდამოებში დიდი ბრძოლა მომხდარა, რომლის დაწყების წინ დამხვდურებს განძი დაუფლავთ სოფლის მიდამოებში. რა თქმა უნდა, მისი პირდაპირი კავშირი „ნასტეფნარზე" აღმოჩენილ ფულებთან ძნელი დასამტკიცებელია, მაგრამ ხალხურ გადმოცემებში ხშირადაა სამარხთის მარცვალი, ასე რომ, ანგარიშგასაწევია. ასევე თუ ისე, ეჭვგარეშეა, რომ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლებთან. ჩვენ მიერ გამოთქმული ზოგი მოსაზრება წინასწარულია და მხოლოდ სისტემატიკურ არქეოლოგიური შესწავლის შემდეგ გაირკვევა სრული სურათი. ერთი რამ კი აშკარაა — ჩამოთვლილი ძეგლები აუცილებელ ყურადღებას საჭიროებს.

ბოლოს გვსურს დავძინოთ, რომ უფრო მეტი ყურადღება და პრობაგანდაა საჭირო ისტორიულ ძეგლთა და მატერიალური კულტურის სხვა ფასეულობათა დაცვისათვის, რათა არ მოხდეს როგორც მოქალაქეთა, ისე სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ძეგლთა ხელყოფა და განადგურება. ჩვენში ძეგლთა დაცვა-შესწავლა სახელმწიფოებრივ დონეზეა დაყენებული და იგი ეკვლება სრულიად გარკვეული სპეციალისტებულ დაწესებულებებს. ისტორიული ძეგლები ჩვენი ისტორიის შესწავლის და მოქალაქეთა პატრიოტულ აღზრდის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ითვლება. ამიტომ თვალსაჩინეთად უნდა გაეუფრთხილდეთ მის უმცირეს ნამთასაც კი. როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის 66 მუხლი გვამცნობს: „ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა მოვალეობაა".

მ. ანთაძე,
ნ. აფხაზავა,
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები.

• • •

სურათებზე: ზევით — „ნასტეფნარის" გორაკზე აღმოჩენილი მონეტების განძი; ქვეეთ — ისრით აღნიშნულია ის ადგილი, სადაც ძვირფასი განძია ნაპოვნი.



„ნასტეფნარის" განძი

იშვიათი არქეოლოგიური ნაპოვნი

□



ორში აშენდა ახალი სკოლა

ქარბი საჩუქარი მიიღეს ონელმა მოსწავლეებმა. „საქმახტმშენის" მე-7 ტრესტის ჩორდის სამშენებლო სამმართველომ (სამმართველოს უფროსი — ზ. ბუგიანიშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი — ინჟინერი გ. ჯაფარიძე) ონში ააშენა და ხაელსლოატაციოდ გადასცა ახალი სკოლის კომპლექსი. იგი ორ და სამსართულიანი კორპუსებისაგან შედგება.

ახალ შენობაში ახალი სასწავლო წლის დაწყება იზეიმა აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სახელობის ონის პირველმა საშუალო სკოლამ. სკოლის ეზოში გაიმართა ახალი სკოლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ აკ. მაგრაქველიძემ. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სკოლის დირექტორმა კ. კობერიძემ, გამოვიდნენ აგრეთვე რაიონის განათლების განყოფილების გამგე გ. დგებარელი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შ. ჯაფარიძე და ფრიადოსანი მოსწავლეები. შემდეგ ლენტი გაჭრა საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. დოლიძემ.

ონის პირველმა საშუალო სკოლამ ახალი სასწავლო წელი ახალ კეთილმოწყობილ შენობაში დაიწყო.

ნ. დუუაშვილი.

„თეთრი სილების" სიკეთე

საჩხერე. (საკ. კორ.). „თეთრი სილები" — ასე არის ოდითგანვე ცნობილი სოფელ ოროფლის ბალნეოლოგიური ადგილ, რომელიც რემატული დაავადების საწინააღმდეგო უბერი საშუალებაა.

სოფლის თვალაცებმა ძველი პრიმიტიული ადგილ თანამედროვე, კეთილმოწყობილ სამკურნალო დაწესებულებად აქციეს. ახლა აქ მწყობრშია კაპიტალური კორპუსი, რომელსაც აქვს ერთ და ორადგილიანი სააბაზანო ოთახები, პიგიენის, საშხაპე, საძინებელი ოთახები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

წლეულანდელი სეზონი ხალხმრავალი გამოდგა. „თეთრ სილებში"—მკურნალობენ კოლმეურნეები, მაღაროელები თუ ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ო. ნიქაბაძე.

ბავშვის გადარჩენისათვის

ხანძარზე გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნე ნინო ლევანიანი დაჯილდოვდა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის".

...დედამ ცეცხლი მაშინ შეამჩნია, როცა მისი ალი უკვე იმ ოთახს მიწვდა, სადაც ათი თვის ბავშვს ეძინა. თავზარდაცემული ქალი ტუჩაში გამოვარდა და ყვარილი მორთო.

დედის ხმა პირველმა გაიგონა მეზობელმა, 24 წლის ნინო ლევანიანმა. იგი უყოყმანოდ შეკვარდა ხასან მახარაძის ალმოდებულ სახლში. ცეცხლსა და კვამლში აღარაფერი ჩანდა, ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩამონგრეულიყო ღამწვარი ჭერი და კედლები. მაგრამ მამაცი ქალი საფრთხეს არ შეუშინდა და შეუტოვრად მიიწევდა ბავშვისაკენ. გავიდა კიდევ წუთი, რომელიც დედას მარადიულობად ეჩვენა, და იგი უკვე გულში იკრავდა შვილს. (საქინფორმი).

ყაიმი 63-ე სვლაზე

ბაგიო. შაადრაკში მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვისა და გ. კორჩნოოს მატჩის მეოცე პარტია პირველ დღეს არ დამთავრებულა და გადაიდო.

აი ამ პარტიის ჩანაწერი:

კარპოვი — კორჩნოი

კარო-ანნის დაცვა

1. e4 c6 2. d4 d5 3. ∅d2 de 4. ∅:e4 ∅f6 5. ∅:f6+ ef 6. ♗c4 ♕d7 7. ♕e2 ♗d6 8. 0-0 0-0 9. ♗f4 ∅b6 10. ♗d3 ♗e6 11. c3 ∅d5 12. ♗:d6 ♖:d6 13. ♖d2 ♖ad8 14. ♖fe1 g6 15. ♖ad1 ♕g7 16. ♗e4 ∅c7 17. b3 ♖fe8 18. ♗b1 ♗g4 19. h3 ♗:e2 20. ♖:e2 ♖:e2 21. ♖:e2 ∅d5 22. ♖d2 ∅f4 23. ♗e4 f5 24. ♗f3 h6 25. h4 ∅e6 26. ♖e3 ∅c7 27. c4 f4 28. ♖c3 ∅f6 29. ♖a5 ∅e6 30. d5 cd 31. cd b6 32. ♖a4 ∅c5 33. ♖:a7 ∅d7 34. d6 ♖:h4 35. ♖c7 ∅f6 36. b4 h5 37. a4 ∅g6 38. b5 ∅g5 39. ♗c6 ∅c5 40. d7 ∅g7 41. ♖e1 ∅e6.

შეხვედრის განახლებისას პრეტენდენტმა მეფის ფრთაზე კონტრომაქრის მიღება წარმოდგა. მდგომარეობა გვთანაბრდა და 63-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ანგარიში კვლავ უცვლელია — 4:1 კარპოვის სასარგებლოდ.

გუშინ მატოქეები ისვენებდნენ. მორიგი, ოცდამეერთე პარტია, რომელშიც პრეტენდენტი თეთრებით ითამაშებს, დღეისათვის არის დანიშნული.

მერვე პარტია გაიმართა

ბიჰვინთა. მცირე შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და პრეტენდენტმა მაია ჩიბურდანიძემ ვაგრძელეს ბრძოლა — გაიმართა მერვე პარტია.

შუა თამაშში ჩიბურდანიძემ მოიგო პაიკი, მაგრამ ამასობაში გაიცვალა ლაზიერები და თამაში ვადავიდა დამოლოებაში, სადაც შაიების მატერიალურ უპირატესობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

მეტოქეებს სხვადასხვა ფერის კუ დარჩათ, რაც ძალიან ხშირად ყაიმის მომასწავებელია. ახლაც სწორედ ამგვარი პოზიცია შეიქმნა:

გაფრინდაშვილი — ჩიბურდანიძე

იტალიური პარტია

1. e4 e5 2. ∅f3 ∅c6 3. ♗c4 ♗c5 4. d3 ∅f6 5. c3 d6 6. ∅bd2 a6 7. ♗b3 ♗a7 8. ∅c4 h6 9. 0-0 ∅e7 10. ♕e2 0-0 11. ∅e3 ∅g6 12. ∅f5 ♗e6 13. h3 d5 14. ♖e2 ♖e8 15. b3 ♖d7 16. g4 ♗ad8 17. ♖d1 ♖c6 18. ♗d2 ∅f4 19. ♖f3 ♗:f5 20. ef e4 21. de de 22. ♗f4 ♖:d1 23. ♖:d1 ef 24. ♖e1 ♖:c3 25. ♖:e8 ∅:e8 26. ♖d1 ∅f6 27. ♗g3 ♗d4 28. ♗d3 ♖c6 29. ♖e2 ♖c2 30. ♗:c2 c5 31. ♗d1 ∅e4 32. ♗:f3 ∅:g3 33. ∅g2 ∅:f5 34. gf b5 35. ♗b7 a5 36. ♗a6 h4 37. ♗c4 ∅g8 38. f4 ∅e7 39. ∅g3 ∅gf6 40. ∅ge4 g6 41. fg ∅g:g6.

ამ პოზიციაში მსოფლიოს ჩემპიონმა ჩაიწერა 42-ე სვლა.

ამრიგად, ანგარიშია კვლავ 4:3 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

დღეს მეტოქეებმა უნდა დაამთავრონ ეს გადადებული პარტია.

გ. გამრეკელი.

მოსწავლეთა სპარტაკიადაზე

ტაშკენტი, 11 სექტემბერი, (ტელეფონით, „კომუნისტის" სპეც. კორ.). მოსწავლეთა „ა" საკავშირო სპარტაკიადაზე ბადარეზობა დაამთავრეს მოკურაობებმა. საერთო-გუნდურ [illegible] ში საქართველოს ნაკრებმა საბოლოოდ მე-11 ადგილი დაიკავა და წინა სპარტაკიადასთან შედარებით ერთი საფეხურით უკან დაიხია. პირად პირველობაში ყველა ჩვენი მოკურაეი საპრიზო ადგილების მიღმა დარჩა.

ჩვენი ნორჩი მოკურავეები — ფოთელი დავით ყურაშვილი და სოხუმელი აკაკი ქვილითაია ნახევარფინალში უზბეკ სპორტსმენებს შეხვდებიან. მართალია, სოხუმელი გორა ჯალაღონია საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას გამოეთიშა, მაგრამ იგი ყურაშვილთან და ქვილითაიასთან ერთად სსრ კავშირის ოლიმპიური იმედის ნაკრებში შეიყვანეს.

უმცროსი ასაკის წყალმხტომელმა გოგონებმა და ჭაბუკებმა დაიწყეს 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ასპარეზობა. ამ პროგრამის ფინალში გავიდნენ თბილისელები ელენე ბილოოვა და გია შავდია. წყალმხტომელთა ნეკიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე საერთო-გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა სპორტსმენებმა მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. მათ წინ უსწრებენ მხოლოდ რუსეთის სფს რესპუბლიკის წყალმხტომელები.

რაპირისტ ჭაბუკთა შორის ფინალში გავიდნენ რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლე ვლადიმერ აფციაური და თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი გელაშვილი.

თ. გაჩეჩილაძე.

„ნაპოლი" თბილისში

11 სექტემბერს საღამოს თბილისში ჩამოვიდნენ იტალიის „ნაპოლის" კლუბის ფეხბურთელები, რომლებიც ოთხშაბათს თბილისის დინამოელებს შეხვდებიან უეფას თასზე. სურათზე: თბილისს აეროპორტში დახვედრის დროს. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვინ-ვის?

ტურის ბოლოთქმა

კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეექვსე ტურის სამი მატჩი. შედეგები ასეთია: „ჩერნომორეცი"-„ნეფთჩი" — 1:0, „ზენიტი"-„ლოკომოტივი" — 3:1, „ზარია"-„დნეპრი" — 2:2. გასაკვირვები დარჩა ამ ტურის ერთადერთი შეხვედრა „არარატსა" და „კარპატს" შორის. მატჩი არ შედგა იმის გამო, რომ „არარატი" ყალიბის (ინდოეთი) საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

„ლოკომოტივმა" რომ ფრეთა ლიმიტი ამოწურა, ეს უკვე კარგა ხანია ცნობილია. მოსალოდნელია, რომ მის ბეღს მომდევნო ტურის შემდეგ კიდევ ერთი, ან რამდენიმე გუნდი გაინაწილებს. საქმე ის არის, რომ „ჩერნომორეცსა", კიევის „დინამოს", მოსკოვის „დინამოს", „ტორპედოს", „ზენიტს" და „ზარიას" უკვე 7-7 მატჩი აქვთ ფრედ დამთავრებული.

გათამაშების ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ როგორც ჩემპიონის ტიტულისათვის, ისე საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლა მეტად დაძაბული და უშეღავათო იქნება. ასევე მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი იმ გუნდებს შორისაც, რომლებიც აუტსაიდერთა ჯგუფში არიან. ვის მეტი შანსი აქვს წარმატების მოპოვებისათვის? ან დატოვებს უმაღლეს ლიგას? დაველოდოთ მოლუნათა მსვლელობას. წინ ხომ კიდევ შვიდი ტურია.

აი როგორ გამოიყურება გათამაშების ცხრილი:

	Თ	Მ	Წ	Დ	Ქ
„დინამო" თ.	14	6	3	33-17	34
„შახტიორი"	13	4	6	31-21	30
„ჩერნომორ."	11	7	5	34-19	29
„დინამო" კ.	10	7	6	29-18	27
„დინამო" მ.	10	7	6	28-20	27
„ტორპედო"	10	7	6	25-18	27
„სპარტაკი" ცხკ	10	4	9	31-26	24
	10	4	9	27-31	24
„ზენიტი"	8	7	8	27-31	23
„პახტაკორი"	7	6	10	33-35	20
„ზარია"	6	7	10	30-35	19
„არარატი"	6	6	10	20-29	18
„ნეფთჩი"	6	6	11	19-26	18
„ლოკომოტივი"	4	8	11	19-33	16
„დნეპრი"	6	3	14	19-30	15
„არარატი"	6	3	13	14-30	15

მოკლედ

ფეხბურთი. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა მეორე მატჩი გამართეს ოუგოსლავიის ქალაქ მარიბორში ადგილობრივ გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. გოლი გაიტანა მ. მაჩაიძემ.

რუბები. გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. შედეგები ასეთია: „ლოკომოტივი" (თბილისი)-„ავიატორი" (კიევი) — 14:14, „ფილი" (მოსკოვი)-„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 13:9, „სლავა" (მოსკოვი)-„პოლიტეხნიკი" (მოსკოვი) — 23:6. ახლა „ფილის" 16 ქულა აქვს, „სლავას", თბილისის „ლოკომოტივს" და „ავიატორს" — 15-15 ქულა.

თავისუფალი ჰიდაობა. მახაჩყალაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი. გამარჯვებულთა შორისაა გიორგი ყურაშვილი (100 კგ).

133 იტალიელი და... 1 თბილისელი

ბუშინ თბილისის აეროპორტში შეკრებილი ფეხბურთის ქომაგები გულითადად შეეგებენენ იტალიიდან სპეციალური თვითმფრინავით ჩამოსულ 133 იტალიელსა და ერთ თბილისელს. იტალიელთა შორის იყვნენ ნეაპოლის „ნაპოლის" ფეხბურთელები, მათი ყველაზე ერთგული „ტიფოზები" და ჟურნალისტები. რაც შეეხება ერთადერთ თბილისელს, ეს გახლდათ „დინამოს" მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, რომელიც უეფას თამაშებში ასპარეზობდა თავისი გუნდის მეტოქის ერთ მატჩს დაესწრო... — დაგესწარი იტალიის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის მატჩს ნეაპოლის „ნაპოლისა" და ბერგამოს „ატალანტას" შორის, — ანგარიში? — 0:0,—ნეაპოლელთაგან ვინ უკეთ ითამაშა? — ყველამ საუცხოოდ, — როგორი გუნდია „ნაპოლი"? — კარგი.

„ნაპოლის" მწვრთნელი ჯანი დი მარციო კი ათასგზის ენაწყლიანი გამოდგა: — მეორე წელია ვმუშაობ „ნაპოლში", გუნდმა შარშან ქვეყნის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა, შემადგენლობა წლეულს არსებითად გადახალისებულია. ჩვენს გუნდში კვლავინდებურად თამაშობს საეოლდი. იგი შევიბარნუნეთ. საეოლდი იტალიაში საუკეთესო ფორვარდად ითვლება, მსოფლიო ჩემპიონატის წინ თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ იგი იტალიის ნაკრებში ითამაშებდა, მაგრამ ბეარზოტმა საეოლდის მაინც როსი ამჯობინა. საეოლდის კარგად უბამს მხარს პელეგრინი. პელეგრინი ის ფეხბურთელია, რომელიც საეოლდის გოლების გატანაში ეხმარება. დიდებული მოთამაშეა ფილიპო, მისი შეძენა ჩვენს მენეჯერს ვიტალის 250 მილიონი ლირა დაუჯდა. ფილიპო გუნდიდან წასული შესანიშნავი ფეხბურთელის იულიანოს ფუნქციებს ასრულებს.

გუნდში რომელიმე სათამაშო რგოლის გამორჩენა მიძნელდება, ჩვენ ხომ სულ 8 კვირაა, რაც ქვეყნის ჩემპიონატისათვის დავიწყეთ მზადება.

ერთი კია, ძალებს არ დავზოგავთ „დინამოსთან" წარმატების მოპოვებისათვის. გუნდელდაკრეფილი რომ არ იქნება „დინამო", ეს ვიცი. მათი შთამბეჭდავი თამაში „ინტერთან" ვნახე. ყიფიანი დიდი მოთამაშეა, ზოგჯერ დაცვის მობრუ ვარ და ვნახოთ, როგორ გავუმკლავდებით ყიფიანს და საერთოდ თქვენს მშვენიერ გუნდს. თბილისში თქვენთან გამარჯვება მეტად რთული საქმეა, მაგრამ თეთრ-ცისფერფორმიანი ნეაპოლელები უმეღავათოდ იბრძოლებენ. ერთი სიტყვით, ჩვენ „დინამოსი" არ გვეშინია, მაგრამ მისი ყველა ფეხბურთელის ძალას ჰატავს ვცემთ, ჰატავს ვცემ ჩემს ახალ მეგობარს, ერუდირებულ და ნაცად მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს... ჯანი დი მარციომ თავისი სიტყვების ალალმართლობა სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ნოდართან გამოთხოვებისას დაამტკიცა, როცა მას ძლერად გადაეხვია და თავის გუნდთან ერთად სასტუმროსაკენ გაეშურა.

დი მარციომ, სხვათა შორის, გამოთქვა აზრი იტალიის ნაკრების შესახებაც: ბარზოტმა დაამტკიცა, რომ იგი კარგი მწვრთნელია. იტალიელებს ურიგოდ არ უთამაშიათ არგენტინაში. მსოფლიო ჩემპიონატს ვესწრებოდი. იქ ბევრი რამ საგულისხმო ჩავინიშნე. ამის თაობაზე ნოდარ ახალკაცსაც აქვს თავისი მოსაზრებანი. ჩვენ ხომ ამის შესახებ ბევრი ვილაპარაკეთ. იმ საუკეთესოს, რაც მსოფლიო ჩემპიონატმა წარმოაჩინა, ცხადია, მომავალ მუშაობაში გამოვიყენებთ. ალბათ, სხვადასხვა ინტერპრეტაციით, მაგრამ უთუოდ გამოვიყენებთ.

— რას ფიქრობთ გულმემატკივრებზე — „ტიფოზებზე"? — მათი ოთმიცი პრიგენტი ჩვენს ახრს არ იზიარებს, — გეიპასუხა დი მარციომ, უნებურად დაგვებადა კითხვა, ვინ არის მართალი? დაე ამ კითხვას მატჩის შედეგმა გასცეს პასუხი.

ჯ. ენუქიძე.

ᲕᲔᲚᲝᲠᲒᲝᲚᲐ

მედალიც, თასიც

პ. ჩეკვარდოვს — ვერცხლი, ე. გელაშვილს — თასი

ერევანში 200 წრეზე ჯგუფურ რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა თბილისელი პეტრე ჩეკვარდოვი. აქვე პარალელურად გათამაშდა სსრ კავშირის თასი სპრინტში ოენიორთა შორის. თავი ისახელა თბილისელმა იუნიორმა ემზარ გელაშვილმა, მან 1 ადგილი მოიპოვა და ცხადია, თასიც დაისაკუთრა. გელაშვილმა იმარჯვა ადგილიდან 1 კილომეტრზე რბოლაშიც. ამ სახეობაში მან მეორე ადგილი დაიკავა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

[illegible] ეცნობა მომავალ [illegible] — შ